გილოცავთ დიდ ქეიფებ შობა-ახალ წელს! 2012

„ქართული გენია როკვით განფენილი“

საქართველოს ქორეოგრაფია

გამოდის 1992 წლის იანვრიდან

№6 (34), დეკემბერი, 2011 წელი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი

პირველად ქართული ქორეოგრაფიის ისტორიაში!

ДИПЛОМ

DIPLOMA

ДИПЛОМ

DIPLOMA

სახელობითი პრემიები მიენიჭათ:

XX საუკუნის ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის, საქართველოს სახალხო არტისტის ირაკლი (ჯანო) ბაგრატიონის შემოქმედების საუკეთესოდ წარმოჩენისათვის ქორეოგრაფი **ანზორ კუპრაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სახალხო არტისტის ირაკლი (ჯანო) ბაგრატიონის სახელობის პრემიით და ოქროს მედლით.

XX საუკუნის ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის, საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი სალუქვაძის შემოქმედების საუკეთესოდ წარმოჩენისათვის ქორეოგრაფი **ჯუმბერ დუნდუა** დაჯილდოვდა საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი სალუქვაძის სახელობის პრემიით და ოქროს მედლით.

საქართველოს ქორეოგრაფიის გამოჩენილ მოღვაწეთა სახელობითი პრემიების მინიჭების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I.
სახელობითი პრემიის დაწესების მნიშვნელობა

ქართულ საცეკვაო ხელოვნებაში სახელობითი პრემიების დაწესება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. პრემიების დაწესების თაობაზე საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობამ მეტად საყურადღებო გადაწყვეტილება მიიღო (2010 წელი, 28 დეკემბერი). გამგეობის სხდომაზე დასახელდნენ საქვეყნოდ აღიარებული ხელოვანები, რომელთა მამულიშვილური ღვაწლის მიხედვით ჩამოყალიბდა სახელობითი პრემიები.

სახელობითი პრემიების დაწესება დროის მოთხოვნებმა განაპირობეს. ეროვნული ქორეოგრაფიის ყველა თაობამ უკეთ უნდა იცოდეს ქართული ქორეოგრაფიის თვალსაჩინო მოღვაწეთა საშვილიშვილო დამსახურების შესახებ.

სახელობითი პრემიების მინიჭება სასიკეთო შემოქმედებით განწყობილებას შექმნის, წარმოაჩენს ქორეოგრაფებს, მსახიობ-მოცეკვავეებს, ხელს შეუწყობს სიახლეთა დანერგვას, სწორ მიმართულებას შესძენს ეროვნული ქორეოგრაფიის განვითარებას.

II.
პრემიების მინიჭების განმსაზღვრელი ფაქტორები:

სახელობითი პრემიები ენიჭებათ ქართული ცეკვის მაღალნიჭიერ სპეციალისტებს, ქორეოგრაფებს, საუკეთესო არტისტიზმის შემსრულებლებს, დათვალიერება-კონკურსებში გამარჯვებული კოლექტივების ხელმძღვანელებს.

პრემიების მისანიჭებლად გასაზღვრულია შემდეგი ძირითადი მოთხოვნები: მაღალნაყოფიერი სადადგმო-ქორეოგრაფიული შემოქმედება, გამორჩეული სასცენო შემსრულებლობა, ხალხუ-

▶ 2 ᲒᲒ.

საქართველოს ქორეოგრაფიის გამოჩენილ მოღვაწეთა სახელობითი პრემიების მინიჭების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

◄ *1 33.* რობისა და მემკვიდრეობითობის, ტრადიციული ხელოვნების, მამა-პაპური შემოქმედების ერთგულება.

ნიშანდობლივია, რომ სახელობითი პრემიები მიენიჭებათ ქართული ქორეოგრაფიის მცოდნეებს, თეორეტიკოსებს, მეცნიერების, მწერლობის, მხატვრობის, კინო და ტელეხელოვნების წარმომადგენლებს, რომელთა ნაშრომები, მხატვრული ქმნილებანი შემეცნებითი ღირებულებებით ხასიათდებიან, გამოიყენებიან სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, გააჩნიათ საინტერესო საზოგადოებრივი შეფასებანი.

III.
სახელობითი პრემიების სახეობანი:

1. ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის სახელობის პრემია
2. ჯანო ბაგრატიონის პრემია
3. ლილი გვარამაძის პრემია
4. დავით ჯავრიშვილის პრემია
5. გიორგი (ბუხუტი) დარახველიძის პრემია
6. ავთანდილ თათარაძის პრემია
7. ენვერ ხაბაძის პრემია
8. გიორგი სალუქვაძის პრემია
9. დავით უშვერიძის პრემია

ა) ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის პრემია ენიჭებათ ქართული ცეკვის ამაგდარ მოღვაწეებს, ახალგაზდა სპეციალისტებს, რომელთაც თავი გამოიჩინეს ნაყოფიერი, ნოვატორული შემოქმედებით, გამორჩეული საშემსრულებლო ოსტატობით, სადადგმო კომპოზიციების მაღალმხატვრულობით ქორეოგრაფიას შემატეს საქვეყნოდ აღიარებული მოღვაწენი.

ბ) ჯანო ბაგრატიონის პრემია ენიჭებათ პროფესიონალური და თვითმოქმედი ანსამბლების ქორეოგრაფებს, რომელთაც შექმნეს სიმღერა-ცეკვის განსაზოგადებელი კომპოზიციები, ასევე, ხალხურ შემოქმედებში მოძიებულ საცეკვაოთა მიხედვით ქართული ცეკვები გაამდიდრეს თემა-შინაარსითა და საცეკვაო ლექსიკით, შთამბეჭდავი სცენური სიახლეებით.

გ) დავით ჯავრიშვილის პრემია ენიჭებათ ქართული ცეკვის პრაქტიკოსებსა და თეორიტიკოსებს, რომელთაც ნათელი კვალი შეიტანეს პროფესიულ საცეკვაო ხელოვნებაში, არაერთი ქართული ცეკვით გაამდიდრეს საბალეტო ხელოვნება, დაამუშავეს ცეკვის პრაქტიკულ-თეორიული სწავლებისა და სადადგმო-საშემსრულებლო მუშაობის მეთოდიკური სისტემა.

დ) ლილი გვარამაძის პრემია ენიჭებათ ქართულ ცეკვებზე დაწერილი საინტერესო მხატვრული ნაწარმოებების, ისტორიული, თეორიული და მეთოდიკური შინაარსის ნაშრომების, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების, ფოტო-ილუსტრაციების გამოფენებისა და სატელევიზიო გადაცემების ავტორებს.

ე) ენვერ ხაბაძის პრემია ენიჭებათ ქორეოგრაფებს, ცეკვის საინტერესო შემსრულებლებს, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აჭარული და ლაზური ცეკვების ხალხური სტილის შენარჩუნებისა და სადადგმო კომპოზიციის მიგნებულად წარმოჩენაში.

ვ) გიორგი სალუქვაძის პრემია ენიჭებათ, ქართული ქორეოგრაფიის მოღვაწეებს, შემოქმედებით მუშაკებს, რომელთაც მიმზიდველი ფორმით და შინაარსით წარმოადგინეს გურული საცეკვაო ფოლკლორის მონაპოვრები. წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ, საერთაშორისო დათვალიერება-კონკურსებში.

ზ) დავით უშვერიძის პრემია ენიჭებათ, მთიულურის, მოხევურის, ხანჯლურის, ქალაქური ფოლკლორის ინდივიდუალურ შემსრულებლებსა და დამდგმელ ქორეოგრაფებს, სხვა ქართული ცეკვების ნიჭიერად დამუშავებული კომპოზიციების ავტორებს.

თ) გიორგი (ბუხუტი) დარახველიძის პრემია ენიჭებათ, განსხვავებული პლასტიკური აზროვნების, დამდგმელ ქორეოგრაფებს, რომელთა საცეკვაო ნაწარმოებები ხასიათდებიან მხატვრული ქორეოგრაფიული სახის შთამბეჭდავი სურათოვნებით და დახვეწილი სცენირებით.

ი) ავთანდილ თათარაძის პრემია ენიჭებათ, ქართული ცეკვის მოღვაწეებს, რომელთაც სანიმუშო პედაგოგიურ-ქორეოგრაფიული მუშაობით აღზარდეს არაერთი კვალიფიციური სპეციალისტი (მოცეკვავე, ქორეოგრაფი), გამოაქვეყნეს სასარგებლო მეთოდური შრომები, მეცნიერული შინაარსის წერილები, პრაქტიკულადაც იღვაწეს ქართული ცეკვის განვითარებისათვის.

IV.
სახელობითი პრემიისა და ჯილდოების სათათბირო:

სათათბიროს თავმჯდომარე – რეზო ჭანიშვილი; სათათბიროს წევრები: ნოდარ აბულაძე, ოლეგ ალავიძე, თამაზ ბეჟანიძე, ანზორ გვარამაძე, ჯეირან გოგინავა, ტარიელ გოგობერიშვილი, თამაზ გოგოტიშვილი, ავთანდილ გურგენიძე, კახა დაშნიანი, უჩა დვალიშვილი, კობა დუნდუა, ალექსანდრე ზაქაიძე, გიგლა თურქია, ზაურ ლაზიშვილი, ომარ მხეიძე, მელისი ნადირაძე, ზაურ პაპიაშვილი, ჯემალ რეხვიაშვილი, ბესიკ სვანიძე, ფრიდონ სულაბერიძე, იური ტორაძე, ნინო ტურიაშვილი, თენგიზ უთმელიძე, ვანო ფეიქრიშვილი, გიორგი ფილიშვილი, გელოდი ფოცხიშვილი, ალექსანდრე ქართველიშვილი, გოგი ჩაჩავა, თემურ ჩხაიძე, ირაკლი ცერცვაძე, დავით წულუკიძე, გიორგი ჭანიშვილი, თენგიზ ჯავახიშვილი, ნუგზარ ჯიქური.

წლის ქორეოგრაფი

„წლის ქოროეგრაფის“ წოდება მიენიჭა შპს „ლეგო-ჯორჯიასთან“ არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „ლაშარი“ სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს ტარიელ გოგობერიშვილს.

სანიმუშო საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლები

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის 2011 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით „სანიმუშო საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ (სახალხო) წოდება მიენიჭათ:

1. საქართველოს ახალგაზრდობის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს „იმედი“ (ქორეოგრაფები: ჯემალ რეხვიაშვილი, ნუნუ ღვინერია);
2. ქ. თბილისის 39-ე საჯარო სკოლასთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს „მინდია“ (სამხატვრო ხელმძღვანელი : ალექსანდრე ქართველიშვილი);
3. შპს ლეგო-ჯორჯიასთან არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ლაშარი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი ტარიელ გოგობერიშვილი);
4. საქართველოს ახალგაზრდობის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ფერხული“ (ხელმძღვანელები: ნინო ტურიაშვილი და რომეო ტატიშვილი);
5. ქ. თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ლომისი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი თამუნა მელიქიშვილი);
6. ქ. ფოთის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „როკვა“ (ქორეოგრაფები: ედიშერ ალექსანდრია, ასმათ კუჭავა);
7. საქართველოს ახალგაზრდობის სახლთან არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „მერანი“ (დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის პრემიის ლაურეატი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლაუზი (რეზო) ჭანიშვილი);
8. ქ. გორის ქორეოგრაფიულ ანსამბლს „იმედი“ (ხელმძღვანელი: გია ჭულუხაძე)
9. ქ. გორის სუხიშვილების სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს „კელაპტარი“ (ქორეოგრაფები: ზურაბ ბათმანაშვილი, თეონა ჯინიკაშვილი);
10. ქ. ქუთაისის გიორგი ტკვაცირიას სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „მტრედები“ (ხელმძღვანელი: გია ტკვაცირია, ქორეოგრაფები: ირაკლი ჭელიძე, ნინო ლეშკაშელი);
11. ქ. ქუთაისის ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ფაფანაკი“ (ქორეოგრაფები: ზაზა მიქაუტიძე, მაია გეწაძე);
12. ქ. ყვარელის კულტურის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფულ ანსამბლს „ყვარელი“ (ხელმძღვანელი ოთარ ფუტკარაძე);
13. ქ. ქობულეთის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ამირანი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ამირან ინაიშვილი, ქორეოგრაფი მურმან ინაიშვილი);
14. ქ. რუსთავის ა.ი.პ. კულტურის ცენტრთან არსებულ ილიკო სუხიშვილის სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „სიხარული“ (ხელმძღვანელი გოგი მარღანია);
15. ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს „ბორჯომი“ (ხელმძღვანელი ნინო მდივნიშვილი, ლოტბარი რობერტ ნადირაძე);
16. ქ. ზუგდიდის ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ფენიქსი“ (ხელმძღვანელი გურგენ ხორავა);
17. ქ. ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „მტრედები“ (ხელმძღვანელი გურგენ სამუშია);
18. ქ. ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „კახათი“ (ხელმძღვანელი გურამ ნარმანია);
19. ქ. რუსთავის ნინო რამიშვილის სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „რუსთაველი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნოდარ აბულაძე, ქორეოგრაფი შალვა ბიწაძე);
20. სსიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ჩუქურთმა“ (ხელმძღვანელი თემურ ტატიშვილი);
21. ქ. გურჯაანის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ყველაწმინდა“ (ხელმძღვანელი პაატა გურგენიძე);



საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრს ბატონ დიმიტრი შაშკინს

ბატონო დიმიტრი,

მოგმართავთ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის სახელით. კავშირისა, რომელშიც გაერთიანებულია უნიკალური ქართული ხალხური ცეკვების დამდგმელი ქორეოგრაფების, ქორეოლოგებისა და შემსრულებელ მოცეკვავეთა ასობით ღვაწლმოსილი და დამსახურებული პიროვნება (თუ საბავშვო ქორეოგრაფიასაც გავიხსენებთ, მათი რაოდენობა ათი ათასებს გადააჭარბებს).

ჩვენ დიდი კმაყოფილებით შევხვდით თქვენი სამინისტროს ინიციატივას სკოლებში ქართული ცეკვის გაკვეთილების შემოღების შესახებ. მიგვაჩნია, რომ იგი დიდად შეუწყობს ხელს ქართული ქორეოგრაფიის პოპულარიზაციას, თავის კეთილშობილურ წვლილს შეიტანს ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. სიამაყის გრძნობით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამინისტროს დავალებით კავშირის რამდენიმე გამოჩენილმა სპეციალისტმა ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანეთ პროგრამების შექმნაში და სპეციალისტების შერჩევის საქმეში.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ქართული ცეკვისა და სიმღერის სწორად სწავლების და, საერთოდ, ქართული ფოლკლორის ახალ სიმაღლეებზე ასაყვანად ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მათ შორის ქორეოგრაფიის თეორიული საფუძვლების, მეთოდური რეკომენდაციების, რეპერტუარის დახვეწის, საშემსრულებლო ხელოვნების ამაღლების, ქორეოგრაფთა ახალი თაობების ღირსეული აღზრდის და ა.შ. მიმართულებით. არადა, ყველა ზემოჩამოთვლილ სფეროში ვითარება, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა. განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც საზღვარგარეთ საგასტროლოდ წამსვლელი ჯგუფების შერჩევა მოითხოვს. შეიძლება ითქვას, რომ ბევრ კარგ კოლექტივთან ერთად ბევრიც იმდენად სუსტი და უვარგისი მიდის საგასტროლოდ, რომ ისინი რეკლამის ნაცვლად ანტირეკლამას უწევენ ქართულ კულტურასა და ხელოვნებას. ვფიქრობთ, ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა ამ სფეროში საქმეს დიდად წაადგება. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია ჩვენი თანამშრომლობა იმ კუთხით, რომ ჩვენ საჯარო სკოლებთან არსებულ წრეებს, სტუდიებს და ანსამბლებს გავუწიოთ თეორიული, მეთოდური და პრაქტიკული დახმარება.

პრობლემა სხვაც ბევრია. მათზე საფუძვლიანი მსჯელობა პირადი შეხვედრის შემთხვევაში გახდება შესაძლებელი. ამიტომ, ჩვენი დიდი თხოვნა იქნება, როგორმე გამონახოთ დრო და შეგვხვდეთ ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მეხუთე ყრილობის მიერ ახლადარჩეულ ხელმძღვანელობას.

იმედი გვაქვს თქვენი თანადგომისა და მხარდაჭერისა.

გულწრფელი პატივისცემით,
ლაუზი (რეზო) ჭანიშვილი -
კავშირის თავმჯდომარე,
პროფესორი.

ინტერვიუ

იური ტორაძე: გაკეთებული ბევრია, გასაკეთებელი – მით უმეტეს

2011 წლის 24 დეკემბერს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში აწყობს ქორეოგრაფიული ანსამბლების წლის შემაჯამებელ კონცერტს. მასში მონაწილეობენ ბოლო წლებში ყველაზე მეტად წარმატებული ანსამბლები, როგორც საბავშვო, ისე მოზრდილების. ამავე დღეს ხდება ღვაწლმოსილი ქართველი ქორეოგრაფების, ჯანო ბაგრატიონისა და გიორგი სალუქვაძის სახელობის პრემიების მინიჭების პრეზენტაცია, საუკეთესო ანსამბლებს მიენიჭებათ საპატიო წოდებები, დასახელდება წლის ქორეოგრაფის ვინაობა. უკვე ამ ჩამონათვალიდან ჩანს, რომ კავშირს საკმაოდ დაძაბული და სისხლსავსე ცხოვრება ჰქონდა. ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ვეტერან ქორეოგრაფთა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე, ცნობილი ქორეოგრაფი, ღირსების ორდენის კავალერი, ხელოვნებათმცოდნე, ბატონი **იური ტორაძე**.

– ბატონო იური, მოგესალმებით და გილოცავთ დამდეგ შობა–ახალ წელს. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი 24 დეკემბერს, ფაქტობრივად, ასრულებს 2011 წელს და წლის მანძილზე გაწეულ მუშაობას აჯამებს. თუ შეგიძლიათ რამდენიმე სიტყვით გაიხსენოთ მომავალი წელი და გვითხრათ სამომავლო გეგმების შესახებ.

– დიდი მადლობა. მეც გილოცავთ. მაგრამ დასაწყისშივე გეტყვით, რამდენიმე სიტყვით არ გამოვა. დავიწყოთ იმით, რომ ერთი წელი ჯერ არ გასულა. მართალია, კავშირის ყრილობა 2010 წლის ნოემბერში ჩატარდა და აირჩია ახალი შემადგენლობა, მაგრამ კავშირის დაფუძნება მხოლოდ 2011 წლის 23 მარტს გახდა შესაძლებელი. რატომ და რისთვის, ეს არ არის ახლა სალაპარაკო. კავშირი, ფაქტობრივად, ახლიდან დაფუძნდა. მთელი 8 წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, მისი მუშაობა შეჩერებული იყო. იქნებ კიდეც ეწყინოს ვინმეს ჩემი ასე მკაცრად ნათქვამი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. კავშირში მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა, დაისახა ახალი ამოცანები, შედგა თანამოაზრეთა საქმიანი ჯგუფი, კავშირში მოვიდნენ ახალგაზრდები. საქმეც დაიძრა. მერწმუნეთ, არავის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას – ყველაფრის კეთება–აღდგენა ახლიდან მოგვიხდა. რამდენად შევძელით და გავართვით თავი სირთულეებს, ეს უკვე სხვათა შესაფასებელია. ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი რამ გასაკეთებელია და თავს არ ვზოგავთ მიზნის მისაღწევად. მინდა გითხრათ, რომ კავშირის თავმჯდომარის, ცნობილი ქორეოგრაფის, ქორეოლოგის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ რეზო ჭანიშვილის დამსახურებაა ასეთი მოქნილი, საქმიანი ჯგუფის შექმნა და მისი დამსახურებაა ყველაფერი ის, რაც გაკეთდა. თავშივე მადლობა მინდა ვუთხრა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, პროფესორ ოლეგ ალავიძეს, ცნობილ ქორეოგრაფებს ნინო ტურიაშვილს, ნოდარ ექსეულიძეს, ახალგაზრდა ქორეოგრაფებს კახა მარკოიშვილს, გოჩა გრძელიშვილს, ალექსანდრე ქართველიშვილს, ტარიელ გოგობერიშვილს, გელა ჭანიშვილს, ლაშა ტორაძეს, მურმან გამისონიას, გოჩა ყველაიძეს, ჯუმბერ ცუცქირიძეს, ზაზა მჟავანაძეს. ბუნებრივია, ყველას ვერ ჩამოვთვლი და არც უნდა მიწყინონ. ამ ადამიანების დამსახურებაა ის, რომ 2011 წელს კავშირის ეგიდით მარტში დაიწყო პირველი ფესტივალი „საბავშვო ქორეოგრაფიული გაზაფხული“, ამას მოჰყვა „საბავშვო ქორეოგრაფიული ზაფხული“ ურეკში, იქვე შედგა ქორეოგრაფთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსები, გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები. უკვე თბილისში გაგრძელდა „საბავშვო ქორეოგრაფიული შემოდგომა“. 50 ქორეოგრაფს მიენიჭა სერთიფიკატი. კურსებს ხელმძღვანელობდნენ ოლეგ ალავიძე, ცნობილი ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე და პროფესორი უჩა დვალიშვილი. იქნებ წვრილმანია, მაგრამ კავშირმა მოიძია დროებითი სამუშაო ოფისი, აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით, მზადდება კავშირის ვებ–გვერდი. ამაში თანადგომა გამოგვიცხადეს განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანებმა. მადლობა მათ. თუმცა მაინც პრობლემად რჩება საკუთარი სამუშაო ოფისის უქონლობა. მივმართეთ სახელისუფლებო ორგანოებს, ცნობილ ბიზნესმენებს, ვიმედოვნებთ, რომ მომავალ ახალ წელს საკუთარ ჭერქვეშ იზეიმებენ ქართველი ქორეოგრაფები. კავშირმა დააარსა „ქართული ცეკვის სახლი“. წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს, სათანადოდ აღინიშნა გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფების საიუბილეო თარიღები, კავშირის ხელმძღვანელობის შუამდგომლობით თბილისის მერიამ „ქართული კულტურის ამაგდარის“ საპატიო წოდებები მიანიჭა ცნობილ ქართველ ქორეოგრაფებს, ღირსების ორდენზე არიან წარდგენილი ღვაწლმოსილი ქორეოგრაფები, წარმატებულ საბავშვო ქორეოგრაფიულ ანსამბლებს მიენიჭათ თვალსაჩინო სახალხო ანსამბლის წოდებები. ქართული ქორეოგრაფიის ისტორიაში პირველად გაიცემა ლეგენდარული ქართველი ქორეოგრაფების, ჯანო ბაგრატიონისა და გიორგი სალუქვაძის სახელობის პრემიები და ოქროს მედლები, მომავალ წელს სახელობითი პრემიების რაოდენობა იზრდება, ამის შესახებ ინფორმაციას მკითხველი გაზეთის ამავე ნომერში იხილავს. გეტყვით იმასაც, რომ ქართული ცეკვის დღეს, 11 ივნისს, ანსამბლ „მრავალძალს“ (ხელმძღვანელი გოჩა გრძელიშვილი) მივანიჭეთ ლეგენდარული მოცეკვავის ომარ მხეიძის სახელი, ბატონი ომარის სახელი მიენიჭა, აგრეთვე, კასპის რაიონის სოფელ ოკამის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „მნათე“ (ხელმძღვანელი კახაბერ მარკოიშვილი), ბატონ რეზო ჭანიშვილის სახელი მიენიჭა ახალციხის ბავშვთა ქორეოგრაფიულ სტუდიას. კავშირი რამდენიმე სატელევიზიო პროექტს ამზადებს. თავის გაზეთთან ერთად კავშირი აცხადებს საინტერესო კონკურსებს (ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ამავე ნომერში). აი, რას აჯამებს კავშირი. ესეც მიზერია იმ ღონისძიებებიდან, რომლებიც კავშირის ეგიდით ან მისი თანადგომით ჩატარდა. კავშირი აქტიურადაა ჩაბმული ქორეოგრაფების სერტიფიცირების პროგრამაში, ზრუნავს იმაზე, რომ სკოლებში მაღალ დონეზე ისწავლებოდეს ქორეოგრაფია და შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგები წარმართავდნენ ამ პროცესს. შეგვეძლო სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრა, აქედანვე ვემზადებოდით დედის დღის ღირსეულად აღსანიშნავად, გრანდიოზულად უნდა აღინიშნოს ქორეოგრაფიის დღე. მოკლედ, გაკეთებულიც ბევრია და გასაკეთებელი – მით უმეტეს.

– არ შემიძლია, არ გკითხოთ იმ ფონდის საქმიანობის შესახებ, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ. ეს არის ვეტერან ქორეოგრაფთა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი.

– ფონდი დაარსდა 2003 წელს. ჩაატარა ასობით კონცერტი. მოზიდული თანხით დავეხმარეთ მიუსაფარ და უპოვარ ქორეოგრაფებს. ფონდთან შევქმენით ვეტერანთა ანსამბლი „ფესვები“, კონცერტებით მოვიარეთ მთელი საქართველო. ანსამბლი გახდა ფესტივალებისა და კონკურსების ლაურეატი. თურქეთში, ალანიაში, ჩავატარეთ საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს ცერი“. საქართველოდან 12, თურქეთიდან კი 4 ანსამბლი მონაწილეობდა. თანადგომა გამოგვიცხადა ალანიის მუნიციპალიტეტმა. შემოსული თანხა კვლავ ქველმოქმედებას მოხმარდა. 2011 წლის დასასრულს, 26 დეკემბერს „თბილისი არტ–ჰოლში“ ფონდი აწყობს „ოქროს ცერის“ მეორე ტურს. მესამე ტური გაგრძელდება 2012 წლის თებერვალში, ბაკურიანში, მარტში ფესტივალი თბილისში გადმოინაცვლებს, სავარაუდოდ, ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ თეატრში. ივნისში კი ფონდი, კავშირთან ერთად, გააგრძელებს ღონისძიებების ორგანიზებას, „ოქროს ცერის“ ფინალიც სწორედ მაშინ შედგება.

ახლა კი ნება მიბოძეთ, ყველა ქორეოგრაფს, ყველა ანსამბლს, ყველა მოცეკვავეს, მომღერალს, დიდსაც, პატარასაც, ვეტერანსაც, ჩინიანსაც და უჩინოსაც, ყველა ქართველს, სრულიად საქართველოს მივულოცო დამდეგი შობა–ახალი წელი, ვუსურვო ბედნიერება, ჯანმრთელობა, წარმატებები.

ესაუბრა
ამირან ბუთურიშვილი

ყურადღება, კონკურსი!

„მის და მისტერ ქართული ქორეოგრაფია“

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი და გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“ 2012 წლისათვის აცხადებს საერთაშორისო კონკურსს „მის და მისტერ ქართული ქორეოგრაფია“. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქართულ ქორეოგრაფიაში მოღვაწე ნებისმიერი ასაკის, ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანს როგორც საქართველოდან, ისე საზღვარგარეთიდან. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა რედაქციაში ან კავშირში (თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 180) უნდა წარმოადგინოთ მაღალხარისხიანად შესრულებული ფოროსურათი (მინიმალური ზომა 10X18 სმ.), ან ფოტოსურათის ელექტრონული ვარიანტი, რომელზეც გადაღებული იქნებით საცეკვაო ფორმაში ან უმისოდ. ფოტოს აუცილებლად უნდა დაურთოთ ანკეტური მონაცემები ასაკის, სასწავლებლის ან სამუშაო ადგილის მითითებით, ანსამბლის სახელწოდება (ხელმძღვანელის მითითებით), საკონტაქტო ინფორმაცია (სახლის ან სამსახურის ტელეფონი, მობილური, ფაქსი ან ელ.ფოსტა). კომპეტენტური ჟიური წარმოდგენილი ფოტოებიდან შეარჩევს საუკეთესოებს, რომლებიც გამოქვეყნდება გაზეთის იანვრის ნომერში და განთავსდება კავშირის ვებ-გვერდზე. თითოეულ ფოტოს ექნება კოდური ნომერი. გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნდება (განთავსდება ვებ–გვერდზე) მაგთის, ჯეოსელისა და ბილაინის ნომერი, რომელზეც მთელი თვის განმავლობაში მესიჯებით (მესიჯი ფასიანი იქნება) შეგეძლებათ, ხმა მისცეთ თქვენს ფავორიტს. თებერვლის ბოლოს დასახელდება იანვრის „მის და მისტერ ქართული ქორეოგრაფია“. მარტში გამოვლინდება თებერვლის გამარჯვებული და ა.შ. ბევრი რამ თქვენს აქტიურობაზე იქნება დამოკიდებული, გაიმარჯვებს ის, ვინც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, თუმცა აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ჟიურის მოსაზრებაც. წლის ბოლოს თვეების მიხედვით გამარჯვებულებს შორის გამართულ კონკურსში გამოვლინდება 2012 წლის „მის და მისტერ ქართული ქორეოგრაფია“, რომლებიც დასაჩუქრდებიან ფასიანი და სამახსოვრო საჩუქრებით. კონკურსის სპონსორებს შეუძლიათ გამოავლინონ თავიანთი ფავორიტი და დაასაჩუქრონ მათ მიერვე დაწესებული სპეციალური პრიზებით.

მაშ ასე, საკონკურსო მასალების მიღება დაწყებულია, იჩქარეთ!

გისურვებთ წარმატებას!

ქართული ცეკვის ისტორია

მესხეთ–ჯავახეთის საცეკვაო ფოლკლორი

(„მძიმური“)

მძიმური

სამყრელო

მესხეთ-ჯავახეთის საცეკვაო ფოლკლორი საგანგებოდ და სიღრმისეულად შესწავლილი არ არის, გარკვეული მასალის მოძიება აღნიშნულ საკითხზე შეიძლება ვერა ბარდაველიძის, სერგი მაკალათიას, ლილი გვარამაძის, ავთანდილ თათარაძის, ვალერიან მაღრაძის ნაშრომებში, გიორგი სალუქვაძის პირად საარქივო ჩანაწერებში, ახალგაზრდა მკვლევარის ვიქტორია სამსონაძის ხელნაწერებსა და რამდენიმე საგაზეთო პუბლიკაციაში. აღნიშნულ ავტორთა ნაშრომ-ნაღვაწის გაცნობა ადასტურებს, რომ ძნელი ისტორიული ბედის მქონე უძველესი ქართული კუთხის ფოლკლორული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე უმეტესწილად ფრაგმენტული მასალა მოვიდა. სწორედ მასზე დაყრდნობით მოხდა ზოგიერთი ხალხური ცეკვის აღდგენა, დანარჩენი კი კვლავაც ელის მზრუნველ ხელსა და შემოქმედებით გონიერებას.

მესხური საცეკვაო ფოლკლორის ნიმუშებზე დაკვირვება ნათლად წარმოაჩენს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ საერთო ტრადიციას, რომლის მიხედვითაც მუსიკალური და ქორეოგრაფიული მასალა ერთმანეთისაგან გაუმიჯნავ-განუყოფელია. ამიტომ მკვლევარი, რომელიც საფუძვლიანად გაეცნობა ერთ რომელიმე მათგანს, უნებლიე სამსახურს უწევს ხელოვნების მეორე დარგსაც.

ცნობილმა კომპოზიტორმა ვალერიან მაღრაძემ, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ისტორიული სამცხე-ჯავახეთის სამუსიკო ფოლკლორის შესწავლას, საფუძვლიანად დაამტკიცა, რომ მესხეთის სინამდვილეში მკაფიოდ დიფერენცირებული და თვითმყოფადი სახით ჩვენამდე 4 ძირითადი მუსიკალური ჟანრის მასალა მოვიდა. ესენია: სუფრული, საქორწინო, შრომისა და საფერხულო სიმღერები. თუ მივმართავთ ანალოგიას, შეიძლება იმგვარი დასკვნის გაკეთება, რომ მესხურ ქორეოგრაფიულ ფოლკლორში თავისუფლად შეიძლება ზემოთ ჩამოთვლილი ჟანრული სახეების შესატყვისი მასალების ფიქსირება, ოღონდ მათ უსათუოდ უნდა მიემატოს სპორტულ-საბრძოლო, ისტორიული და საგმირო შინაარსის შემცველი ცეკვები, რელიგიური რიტუალით ნაკარნახევი, ცალკეული პანტომიმური სურათები და სალაღობო, გასართობი უსიუჟეტო მოძრაობები.

სამცხეთ-ჯავახეთის ქორეოგრაფიული ფოლკლორის სრულყოფილი სახით წარმოჩენა, ბუნებრივია, ერთ საჟურნალო სტატიაში ვერ მოხერხდება. ამ საკითხს ჩვენ კვლავაც მივუბრუნდებით. ამიტომ, ამჟამად, ჩვენს წერილში, გარკვეული მოსაზრებით, გვერდს ავუვლით მესხური საცეკვაო ფოლკლორის შედარებით სრულყოფილი სახით შემორჩენილ ნიმუშებს: „მამლი მუხასა“, „სამყრელო“, „ლაზარე“, „ოქრომჭედელო“ და მკითხველის ყურადღებას ამ ეტაპზე მივაპყრობთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც პრაქტიკოსი ქორეოგრაფი სწორედ შემორჩენილი ელემენტების, ცალკეული ფრაგმენტების თავისებურებათა გათვალისწინებითა და მათი შერწყმით ქმნის ხელოვნების დასრულებულ ნიმუშს. ასეთი შედეგი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღება, თუ ქორეოგრაფი, საზოგადოდ, კარგად იცნობს კონკრეტული რეგიონის ფოლკლორისათვის დამახასიათებელ შინაგან თავისებურებებს, ისტორიულ ვითარებას, ხალხის ხასიათს და, რაღა თქმა უნდა, საკუთრივ საცეკვაო ხელოვნების სასცენოდ წარმოჩენის სპეციფიკურ კანონზომიერებებს. სწორედ ამგვარი მიდგომის საუკეთესო ნიმუშია ცნობილი ქართველი ქორეოგრაფის გიორგი სალუქვაძის მოღვაწეობა მესხური საცეკვაო ფოლკლორის შესწავლა-პროპაგანდის სფეროში.

გასული საუკუნის 60-იან წლებში გიორგი სალუქვაძემ თავის თანამოაზრეებთან (ს. ვაჩიბერიძე, ე. კობალაძე) ერთად უამრავი მესხური სოფელი მოინახულა და საჭირო მასალებიც მოაგროვა. ვ. შილაკაძის ცნობით, მოგზაურებს მესხური ქორეოგრაფიული ფოლკლორის გაცნობა სოფელ ანდრიანწმინდიდან დაუწყიათ. აქ 79 წლის მოხუც ვ. ინასარიძეს მათთვის უთქვამს: „ჩემს სიყმაწვილეში მინახავს ცეკვები: „უზუნდარა“, „ლეკური“, „ყარაბაღული“... იყო ცეკვა „შვიდი წყვილი“... ცეკვავდნენ „გიჟურ ფერხულს“ და ა. შ. გიორგის ალუქვაძემ სხვა სოფლებიც შემოიარა, მოიპოვა ჯერ კიდევ შემორჩენილი ცეკვების ფრაგმენტები, ტექნიკური მასალა, ილეთთა ჩამონათვალი და ყველაფერ ამის თავმოყრით შექმნა ისეთი ქორეოგრაფიული მარგალიტები, როგორებიცაა: „იდუმალა“, „მძიმური“ და „ვარძიობა“. შევეხოთ ზოგიერთ მათგანს.

გიორგი სალუქვაძე მიიჩნევდა, რომ „მძიმური“ ერთ-ერთი უძველესი მესხური ცეკვა უნდა ყოფილიყო. 60-70-იანი წლებისათვის მის ფრაგმენტებს გიორგი სალუქვაძემ თავი მოუყარა ახალციხეში. მოპოვებულ მასალას მან დაუმატა. „ცქვიტურის“ ფოლკლორული ელემენტები, ხოლო მუსიკალური თანხლებისათვის ადგილობრივი ხალხური მელოდიები გამოიყენა. ცეკვის შინაარსობრივი ქარგა ასეთია: ქვეყანა ურიცხვი მტრების განუწყვეტელ შემოსევებს უმკლავდება. აგერ, ახლახან, სოფლის საუკეთესო ვაჟკაცები გაციილეს ომში. გამთენიისას შავით მოსილი ქალები და ახალგაზრდა გოგონები სოფლის ბოლოსაკენ მიიჩქარიან იმ იმედით, რომ ეგებ რაიმე საიმედო გაიგონ. განაპირა მდელოზე გასულებს არავინ ხვდებათ, იმედი თანდათანობით იწურება. ქალები მწუხრის ცეკვას იწყებენ, ლოცულობენ, უფალს შველას შესთხოვენ. ეს ყველაფერი წყნარი, მუსიკალური თანხლების ფონზე, მშვიდი, ნარნარი მოძრაობებით ხორციელდება. უცებ აბჯროსანი მეომარი გამოჩნდება, ქალები მყისვე გარს შემოეხვევიან. მეომარი ქართველთა საარაკო გამარჯვების მახარობელი გამოდგა. გახარებული ქალები შავ მანდილებს მოიხდიან და მწუხრის ცეკვა ზეიმის სახეს იღებს. იცვლება ტემპი, რიტმი, დინამიკა. ეს ყველაფერი აპოთეოზს მაშინ აღწევს, როდესაც ირკვევა, რომ ჯაჭვისპერანგიანი მეომარი, თურმე ქალი ყოფილა. იგი მამასთან, ძმასა და გულისსწორთან ერთად გმირულად იბრძოდა მომხვდურთა წინააღმდეგ.

ცეკვის ნახაზსა და მხატვრულ მთლიანობაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მისი შექმნის დროს ქორეოგრაფმა ბევრი არსებითი დეტალი და ნიუანსი გაითვალისწინა. მათ შორის უპირველესია თვით დასახელებასთან დაკავშირებული შინაარსი. კომპოზიტორ ვ. მაღრაძის აზრით, ტერმინები „მძიმური“, „ძიმური“ ცეკვის ტემპის აღმნიშვნელია. კერძოდ, ამ ტიპის ცეკვა მძიმედ, ნელ ტემპში უნდა დაიწყოს. ამგვარად „მძიმე“, „ანუ „მძიმედ“ წამოწყებული მოძრაობები სიტუაციური შინაარსის გათვალისწინებით ნელა ჩქარდება, გადადის „ასაყოლიებელ“ ტემპში, ბოლოს კი კულმინაციურ მომენტს აღწევს და „ცქვიტური“, ან სხარტი ხდება. გ. სალუქვაძის მიერ შექმნილი ცეკვა სწორედ ამ სტრუქტურის მქონეა და შინააარსობრივადაც გამართლებულია. ეს ფაქტი კი, ქორეოგრაფის მხრიდან საკითხისადმი მიდგომის სერიოზულობასა და პრობლემის არსებითი ასპექტების სიღრმისეულ ცოდნაზე მიუთითებს.

რაკი სიტყვამ მოიტანა, უთუოდ ისიც უნდა ითქვას, რომ მესხურმა ფოლკლორმა საცეკვაო ტერმინოლოგიის გამდიდრებაშიც შეიტანა თავისი წვლილი. ცეკვის მთლიანი სახის, ან კიდევ მისი რომელიმე ნაწილის ისეთი დასახელებები, როგორიცაა „მძიმე-მძიმური“, „ასაყოლი-ასაყოლიებელი“, „ცქვიტური“ ან მათი მსგავსი საქართველოს სხვა კუთხეებში იშვიათად გვხვდება.

ეს ფაქტიც კიდევ ერთი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ისტორიული მესხეთი უდიდესი და უმდიდრესი სალარო იყო მთლიანად ქართული კულტურისა. მართალია, დრომ და ვითარებამ ბევრ რამეს თავისი ჭეშმარიტი სახე დაუკარგა, მაგრამ დაკვირვებული, მზრუნველი თვალისთვის შესამჩნევ-გადასარჩენი ჯერაც არ გამქრალა.

რეზო ჭანიშვილი
პროფესორი

ყურადღება, კონკურსი!

„ქართული ქორეოგრაფია ბავშვთა შემოქმედებაში“

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი და გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“ 2012 წლისათვის აცხადებს საერთაშორისო კონკურსს „ქართული ქორეოგრაფია ბავშვთა შემოქმედებაში“. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბავშვებს როგორც საქართველოდან, ისე საზღვარგარეთიდან. მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 17 წელს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების წევრებს, ისე ბავშვებს, რომლებიც არ არიან დაკავებული ქორეოგრაფიით, მაგრამ უყვართ ქორეოგრაფია და ხატავენ ან ლექსებს, ჩანახატებს, მოთხრობებს უძღვნიან ხელოვნების ამ უნიკალურ დარგს. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი ნაშრომები რედაქციაში ან კავშირში (თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 180). ნაშრომს აუცილებლად უნდა დაურთოთ ანკეტური მონაცემები ასაკის, სასწავლებლის მითითებით, ანსამბლის სახელწოდება (ხელმძღვანელის მითითებით), საკონტაქტო ინფორმაცია (სახლის ტელეფონი, მობილური, ელ.ფოსტა). კომპეტენტური ჟიური წარმოდგენილი ნაშრომებიდან შეარჩევს საუკეთესოებს, რომლებიც გამოქვეყნდება გაზეთის იანვრის ნომერში და განთავსდება კავშირის ვებ-გვერდზე. თითოეულ ნაშრომს მიენიჭება კოდური ნომერი. გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნდება (განთავსდება ვებ-გვერდზე) მაგთის, ჯეოსელისა და ბილაინის ნომერი, რომელზეც მთელი თვის განმავლობაში მესიჯები (მესიჯი ფასიანი იქნება) შეგეძლებათ, ხმა მისცეთ თქვენი ფავორიტის ნამუშევარს. თითოეული ხმა გამარჯვებას მიუახლოვებს თქვენს ფავორიტს. გამარჯვებული ნამუშევრები გამოვლინდება წლის ბოლოს. გამარჯვებულები დასაჩუქრდებიან ფასიანი და სამახსოვრო პრიზებით. გამარჯვებულების გამოვლენის უფლება ექნებათ სპონსორებსაც. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი წლის ბოლოს მოაწყობს ნამუშევრების საჩვენებელ გამოფენას თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

მაშ ასე, საკონკურსო მასალების მიღება დაწყებულია, იჩქარეთ!

გისურვებთ წარმატებას!

სახელდება

ანსამბლი “მნათე” ომარ მხეიძის სახელობისაა

ომარ მხეიძის წარმატებები დაგბედებოდეთ!

კახაბერ მარკოიშვილი რამდენიმე თვის წინათ გავიცანი საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირში. აქებდნენ კოლეგები – კარგი ქორეოგრაფია, დაუზარელი, საქმის ერთგული კაციაო. მალე დავრწმუნდი, რომ ყველაფერი ეს ჭეშმარიტება იყო. შევატყვე, კახაბერს არც ადამიანებთან ურთიერთობაში ეშლებოდა რამე. ამიტამაც იყო, რომ მის ირგვლივ ბევრი ახალგაზრდა ტრიალებდა, მეგობრობაც იცის და საქმის შეუსრულებლობასაც არავის აპატიებს. საორგანიზაციო განყოფილება ჩააბარეს კავშირში და არც შემცდარან. ამ სამიოდე თვის წინათ ჟინვალში მიგვიპატიჟა თავის მიერ ორგანიზებულ დიდ საქველმოქმედო კონცერტზე. ყველაფერი გათვლილი და აწონილი-დაწონილი ჰქონდა. საქართველოს თითქმის ყველა კუთხე იყო წარმოდგენილი კონცერტზე, მისი ანსამბლიც გამოვიდა და თავიც ისახელა. მართლაც შესანიშნავი ანსამბლი იყო „მნათე“. „ხომ დარწმუნდი, რომ კახა ნამდვილად მაგარი ბიჭია“ – მითხრა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ, ცნობილმა ქორეოგრაფმა იური ტორაძემ. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და სცენას გავხედე, სადაც ლაღად ეკეკლუცებოდნენ თვალხატულა ჟინვალელი გოგოები ცეკვის აზარტში შესულ პატარა რაინდებს. კახა რამდენადაც პროფესიონალია, იმდენად თავმდაბალიცაა, ანსამბლი რომ ასე კარგი და მომზადებულია, მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის, რომ არა ანსამბლის ქორეოგრაფი სალომე მარკოიშვილი (სალომე კახას უფროსი შვილია, 21 წლის. კიდევ ორი შვილი ჰყავს, 16 წლის გვანცა და 10 წლის გიორგი), თორნიკე ცაბურაშვილი და იასონ ებრალიძე, ვერაფერს გავხდებოდიო. კი გახდებოდა და „მნათეს“ ბრწყინვალებას არაფერი მოაკლდებოდა, მაგრამ სხვათა ღვაწლის და შრომის დაფასებაც იცის კახამ და სხვაგვარად არ იტყვის.

არ შემიძლია, რამდენიმე სიტყვით არ წარმოგიდგინოთ კახაბერ მარკოიშვილი. მაშ ასე, იცნობდეთ: დაიბადა თბილისში, 1969 წელს. თბილისის მე-12 საშუალო სკოლაში სწავლის პარალელურად წარმატებით ეუფლებოდა ქართული ცეკვის ოსტატობას ილიკო სუხიშვილის სახელობის ქორეოგრაფიულ სახელმწიფო სკოლა-სტუდიაში. ჰყავს დედა – ციალა მარკოიშვილი. მეუღლე – თამარი. შვილების შესახებ უკვე მოგახსენეთ. ჰო, მართლა, სალომე, გარდა იმისა, რომ ქორეოგრაფია, სუხიშვილების დუბლიორთა ჯგუფშიც ცეკვავს. კახა 4 წლის იყო, როცა ცეკვა დაიწყო. მისი პირველი პედაგოგები იყვნენ: ჯემალ ნავროზაშვილი და ამირან სალუქაშვილი. წლების განმავლობაში იყო ილიკო სუხიშვილის ქორეოგრაფიული სტუდიის მოცეკვავე. ცეკვავდა ანსამბლ „მხედრულში“, სუხიშვილების მოსამზადებელ ჯგუფში, ანსამბლ „გუდაურში“. სცენაზე 26 წელი იცეკვა, შემდეგ სურვილი გაუჩნდა, თავად ჩამოეყალიბებინა ქორეოგრაფიული ანსამბლი და სურვილიც აისრულა. 1999 წელს დაბა ჟინვალში დაარსა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მნათე“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიცაა დღემდე. დიახ, მაგრამ...



ალბათ, იკითხავთ – მაგრამ რაო? მაგრამ ის, რომ კახას მეორე „მნათეც“ ჰყავს და არანაკლებ მომზადებული, ვიდრე ჟინვალური. ეს „მნათე“ კასპის რაიონის სოფელ ოკამში მოღვაწეობს. იქნებ გგონიათ, რომ სიტყვა „მოღვაწეობა“ ცოტა ხმამაღალი ნათქვამია ახლადფეხადგმული მოცეკვავეების მისამართით. მერწმუნეთ, ასე აღარ იფიქრებდით, 17 დეკემბერს ჩვენთან ერთად რომ ყოფილიყავით ოკამში და გენახათ ამ გოგო-ბიჭების ანთებული თვალები, აღტყინება და სილაღე ცეკვაში, გოგონათა გრაციოზულობა და ბიჭების შემართება. ეს ყმაწვილები ქართული ცეკვის უსაზღვროდ მოყვარულნი არიან და ეს სიყვარული მათში სწორედ კახა მასწავლებელმა (ასე მიმართავენ კახას თავისი „შეგირდები“) აანთო. შემეძლო მარტივად და მშრალად მომეთხრო იმის შესახებ, თუ როგორ და ვინ დაგვხვდა სოფელში, რატომ და რისთვის ჩავედით, მაგრამ ასე არ გამოვა. იმ დღეს ბარბარობას ზეიმობდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. თუმცა, რომ გითხრათ, ჩვენ (საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მრავალრიცხოვანი დელეგაცია) მაინცდამაინც ამ დღის აღსანიშნავად ჩავედით ამ ულამაზეს სოფელში მეთქი, არ ვიქნები მართალი. ჩვენი ვიზიტის რეალური მიზეზი სხვა რამ იყო – იმ დღეს ოკამის კულტურის ცენტრთან თითქმის თავიდან გაიხსნა საცეკვაო დარბაზი, რომელიც, შეიძლება ითქვას, აღარაფრად ვარგოდა. რომ არა კახას მონდომება და სოფლის თავკაცების (გამგებელი ტატო ჩიტაშვილი, კულტურის ცენტრის დირექტორი მედიკო გოგიშვილი) მხარდაჭერა, რაიონიდან საქართველოს პარლამენტის წევრის ზურაბ შუკაკიძის თანადგომა, ის დღე არაფრით იქნებოდა გამორჩეული. დარბაზი სათანადოდ გარემონტდა, იატაკი გასწორდა, ფანჯრები ჩაისვა, ზამთრისთვის შეშით მომარაგდა და თითქმის ყველა პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ ანსამბლმა რეპეტიციები შეუფერხებლად ჩაატაროს და წარმატებით გამოვიდეს სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებზე, რომლებშიც სისტემატურად მონაწილეობს ხელმძღვანელის მოწადინებითა და დამსახურებით. წარმატებებიც აქვთ. დასტურად ამისა, იმ დღეს დარბაზის კედლებს ამშვენებდა ანსამბლის მიერ მოპოვებული დიპლომები და სიგელები, სამადლობელი ბარათები. და კიდევ, რაც მთავარია, ზამთრის იმ ლამაზ დღეს ოკამის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მნათეს“ (ხელმძღვანელი კახაბერ მარკოიშვილი, ქორეოგრაფი ინგა გულარაშვილი) საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გადაწყვეტილებით ლეგენდარული ქართველი მოცეკვავის, საქართველოს სახალხო არტისტის, თბილისის საპატიო მოქალაქის, ეროვნული პრემიის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, 2005 წლის ადამიანის, ბატონ ომარ მხეიძის სახელი მიენიჭა. ეს დღე ნამდვილად ღირსშესანიშნავი და დაუვიწყარი იქნება მომავალი მოცეკვავეებისათვის, მათი მშობლებისათვის, მთელი სოფლისათვის. მასპინძლები მოუთმენლად ელოდნენ ბატონი ომარის გამოჩენას, რომლის შესახებ ბევრი რამ სმენოდათ დიდი ხელოვანის პატარა კოლეგებს. მათ უკვე იცოდნენ, რომ – ომარ მხეიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს თბილისში, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, „ომარ მხეიძე ქართული ხასიათის განსახიერებაა“; „მან შექმნა ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში გმირის სახე“... „ომარ მხეიძისთვის ცეკვაში არ არსებობს შეუსრულებელი ილეთები“... რომ ის იყო „მფრინავი ვეფხვი“, „ სუხიშვილების ანსამბლის არწივი“, რომ 1953-დან 1984 წლამდე, მთელი 30 წლის განმავლობაში, ბატონი ომარი იყო

▶ 6 ᲒᲐ.

სახელდება

ომარ მხეიძის წარმატებები დაგბედებოდეთ!

◀ 5 გვ. საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის წამყვანი სოლისტი მოცეკვავე. 30 წელი ქართულ ძარღვიან და ცეცხლოვან ცეკვაში გაატარა. 48 წლის ასაკამდე „იფრინა“ სცენაზე. სუხიშვილების კონცერტების აფიშებს მისი სავიზიტო, არწივისებური ილეთის ფრაგმენტი ამშვენებდა ხშირად. მის მიერ შესრულებული „მთიულური“ დღემდე უბადლოა. ხუთივე კონტინენტი მოიარა, 87 ქვეყნის მაყურებელი უკრავდა ტაშს ომარ მხეიძის დაუვიწყარ ოსტატობას. ის აქტიური მონაწილე და შემოქმედია ქართული ეროვნული ქორეოგრაფიის განვითარებისა. განა შეიძლებოდა ამ ადამიანთან აუღელვებლად შეხვედრა? ბავშვები და მასპინძლები მქუხარე ტაშით შეეგებნენ ბატონ ომარ მხეიძეს და მის თანმხლებ პირებს, ქართული ქორეოგრაფიის არანაკლებ ლეგენდებს – კავშირის თავმჯდომარეს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ბატონ რეზო ჭანიშვილს, მის მოადგილეს, ბატონ იური ტორაძეს, კავშირის ყოფილ თავმჯდომარეს, გამოჩენილ მოცეკვავესა და ჟურნალისტს, ბატონ თენგიზ უთმელიძეს, კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ოლეგ ალავიძეს, ქორეოგრაფებს გოჩა გრძელიშვილს, ზაზა მჟავანაძეს, მურმან გამისონიას, ჯუმბერ ცუცქირიძეს და სხვებს. სტუმარ-მასპინძლებს მიესალმნენ და სიტყვით მიმართეს რეზო ჭანიშვილმა, იური ტორაძემ, ოლეგ ალავიძემ, თენგიზ უთმელიძემ. ბატონმა იური ტორაძემ კავშირის სახელით ანსამბლის სახელდების დამადასტურებელი დიპლომი გადასცა ანსამბლის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს კახაბერ მარკოიშვილს. სულ მალე ამ დიპლომსაც კახა მასწავლებელმა ცენტრალური ადგილი მიუჩინა დარბაზის კედელზე, სხვა დიპლომების გვერდით. სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა ომარ მხეიძემ და ბავშვებს გადასცა სუხიშვილების ლეგენდარული ანსამბლის ერთ-ერთი ძველი აფიშა, ანსამბლის ყველა წევრს უსახსოვრა ახლად გამოცემული წიგნი-ბროშურა, რომელშიც ვრცლადაა მოთხრობილი მისი მოღვაწეობის, წარმატებების შესახებ. სტუმრებს და სოფლის ხელმძღვანელებს სამადლობელი სიტყვით მიმართა კახაბერ მარკოიშვილმა. ამის შემდეგ დარბაზში ქართული ცეკვებით ჩვეული ცეცხლი დაანთეს „მნათეს“ გოგო-ბიჭებმა. სტუმრები და შეკრებილები დიდხანს უკრავდნენ ტაშს პატარა მოცეკვავეებს და მათ ხელმძღვანელს. ძნელია, ვინმე გამოარჩიო, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს ანსამბლის უფროსი თაობის სოლისტების სოფო მეშველაშვილის, გიორგი შუკაკიძის, რამაზ ჯარმელიშვილის, და-ძმა ვაკო და მარი მახარობლიშვილების, იზა ჩიტაშვილის, თორნიკე თათარაშვილის, ნინო ხუროშვილის, და-ძმა მათე და ეკა მეშველაშვილების გამოსვლა არა მარტო იმ დღეს, არამედ საერთოდ, ყველა კონცერტზე. ანსამბლი სულ ხუთიოდე წლისაა. ამ ხნის განმავლობაში მეორე თაობა ფრთიანდება. ამჟამად ანსამბლში 30 ბავშვი ეუფლება ქართული ცეკვის ხიბლსა და საიდუმლოს. აქ მეზობელი სოფლიდან, თეზიდანაც დადიან ბავშვები. ანსამბლში ყველაზე პატარა 6-7 წლისაა, უფროსი კი 15-ის.

– არაერთხელ მითქვამს: ქართული ცეკვის წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა მთის რეგიონების ცეცხლოვანმა ცეკვებმა. როცა მითხრეს, რომ სწორედ მთიელთა ანსამბლს (დიახ, ოკამი ნამდვილი მთიელების სოფელია, მიუხედავად დედაქალაქთან სიახლოვისა) უნდა მინიჭებოდა ჩემი სახელი, სიამოვნებით დავთანხმდი. მე ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი ვიყავი მთიულური ცეცხლოვანი ცეკვებისა. მწამს, ეს გოგო-ბიჭებიც ჩემს მიერ გაკვალული გზით ივლიან და დაიპყრობენ ქართული ქორეოგრაფიის მწვერვალებს. მადლობა ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირს იმ ლამაზი ტრადიციის გაგრძელებისათვის, რომელსაც ანსამბლებისათვის გამოჩენილი ქორეოგრაფების სახელის მინიჭება წარმოადგენს, მადლობა ანსამბლ „მნათეს“ ხელმძღვანელს კახაბერ მარკოიშვილს, კასპის რაიონისა და სოფელ ოკამის მესვეურებს. ამის შემდეგ უფრო ხშირი სტუმარი ვიქნები ამ ულამაზესი სოფლისა. – გვითხრა ბატონმა ომარ მხეიძემ.

დავულოცოთ გზა კასპის რაიონის სოფელ ოკამის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მნათეს“. ომარ მხეიძის წარმატებები დაბედებოდეთ. ბარბარობა ხომ ბედობის დღეა.

ამირან ქარელი

მურმან გამისონიას ფოტოები

ანსამბლი “მნათე” ომარ მხეიძის სახელოზისაა

დიდი ცხოვრების მცირე გაელვება

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირმა 2011 წელს დაანესა გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის გიორგი სალუქვაძის სახელობის პრემია და ოქროს მედალი, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ გადაეცემა ქართული ქორეოგრაფიის ღვაწლმოსილ ადამიანებს. მოკლედ მოგითხრობთ ბატონ გიორგი სალუქვაძის მოღვაწეობის შესახებ.

ქართული ქორეოგრაფიის დიდი მოამაგე, ინჟინერი გიორგი სალუქვაძე დაიბადა გურიაში, სოფელ ურხუბში (დღევანდელი ცხემლისხიდი), დვაბზუს თემში, 1913 წლის 27 ივნისს.

პატარა გიორგის ბავშვობიდან დაჰყვა მუსიკის სიყვარული, იგი თავის წკრიალა ხმას შეწყობილად უერთებდა დედის ტკბილ ხმას, რომელიც ჩინებულად უკრავდა ჩონგურზე. მის ოჯახში ხშირად მოისმენდით და ნახავდით მშობლებისა და მეზობლების მეტად შეწყობილ ქართულ ხალხურ სიმღერებსა და სხვადასხვა ხასიათის გამომსახველ ცეკვებს. მათთან ერთად პატარა გიორგიც დიდი გატაცებით მღეროდა და ცეკვავდა. მისი მუსიკალობა და ქორეოგრაფიული ტალანტი ყრმობიდანვე გამომჟღავნდა.

მეორე კლასის მოსწავლე იყო გიორგი, როცა პირველად წარსდგა საზოგადოების წინაშე, ეს იყო 1922 წელი, იგი სასკოლო გუნდში მონაწილეობდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ხელოვანი ნიჟა ლომინაძე და სწორედ აქედან იწყება მისი პირველი ნაბიჯებიც.

1928-32 წლებში ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის მომღერალთა გუნდში საფუძვლიანად სწავლობს ქართულ ხალხურ სიმღერებს, იგი გულმოდგინედ ეცნობა აჭარულ ხალხურ კილოებს, ხალხის ადათ-წესებს, ყოფა-ცხოვრებას, პოეტურ, მუსიკალურსა და ქორეოგრაფიულ ფოლკლორს, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ გიორგი საკმაო დროის მანძილზე მუშაობდა აჭარის წყლის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობაზე, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ გ. სალუქვაძე შედის კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში.

1939 წელს გიორგი საოლუქვაძე წარჩინების დიპლომით ამთავრებს ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ცენტრალური ელექტროსადგურების ელექტრო ინჟინრის წოდებით.

აქედან იწყება გიორგი სალუქვაძის ორი, სრულიად განსხვავებული პროფესიის შერწყმა.

სტუდენტობის პერიოდში ეზიარა ის ქართული ხალხური (კლასიკურად ჩამოყალიბებული) ცეკვების მადლს, ცეკვის გამოჩენილ ოსტატთან – ჯანო ბაგრატიონთან. მეორე კურსზე სწავლობდა, როცა საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში ჩამოაყალიბდა მომღერალ-მეჩონგურეთა „სამეული“ და „ხორუმის“ შემსრულებელი მოცეკვავეთა „ხუთეული.“ „სამეულში“ შედიოდნენ ნ.კვაჭანტირაძე (შემდეგ დამსახურებული ინჟინერი) გ. გოგუა და გ. სალუქვაძე. „ხუთეულში“ კი ამათ ემატებოდათ ავთ. თათარაძე (შემდეგ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) და ალ. შვანგირაძე. ორივე ჯგუფს ხელმძღვანელობდა გ. სალუქვაძე.

საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე სტუდენტთა შესრულებით დადგმულმა ცეკვა „ხორუმმა“ ხალხური შემოქმედების მეხუთე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე 1937 წ. პირველი პრემია მიიღო, ეს მისი, როგორც ქორეოგრაფის, პირველი ნათლობა იყო. (არსებობს ცეკვა „ხორუმის“ (იმდროინდელი კინოფირი) ვიდეო ჩანაწერი). უმაღლესში სწავლის პერიოდში გ. სალუქვაძე პარალელურად საშუალო სკოლაში იწყებს მუშაობას ხაზვის მასწავლებლად. იგი აქაც მისთვის ჩვეული გატაცებით აყალიბებს მოსწავლეთა თვითმოქმედ წრეს. 1937 წელს გ. სალუქვაძეს იწვევენ დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში სოლისტ-მოცეკვავედ და ცეკვების დამდგმელად. პარალელურად იგი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მოცეკვავეთა წრის ხელმძღვანელად, ხოლო 1939 წელს საქართველოს კოოპინკავშირის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ქორეოგრაფად მუშაობს.

წ. გ. სალუქვაძე მიღებულ იქნა საქართველოს სიმღერის და და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში სოლისტ-მოცეკვავედ. ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა ქორეოგრაფიული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე – ჯანო ბაგრატიონი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მეცნიერული მუშაობისათვის ემზადებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ საწარმოო ორწლიანი სტაჟის გასავლელად თბილისის „თბოელექტროცენტრალში“ დაიწყო ცვლის უფროსად მუშაობა, მაგრამ დიდმა სამამულო ომმა, სხვა ბევრ ათასებთან ერთად, გიორგისაც დაუმსხვრია ოცნება.

1940 წლის დეკემბერში დაქორწინდა. 1941 წლის 5 ივლისს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. მონაწილეობდა ალყაშემორტყმულ სევასტოპოლისა და ქერჩის ბრძოლებში. გ. სალუქვაძე ომის ქარცეცხლშიც არ ივიწყებს საყვარელ საქმეს და სათავეში უდგება წითელარმიელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, პარალელურად იბრძვის, როგორც ოფიცერი-არტილერისტი. 1943 წლის ივნისში იგი გადაყვანილ იქნა ქართული მსროლელი დივიზიის საარტილერიო ლეგიონში დივიზიის ძიების მეთაურად. დივიზიის სარდლობის დავალებით გ. სალუქვაძემ წითელარმიელთა სიმღერისა და ცეკვის 80 კაციანი ანსამბლი ჩამოაყალიბა, რომლის შექმნაში უდიდესი დახმარება გაუწია იმავე ლეგიონის პირველი დივიზიონის კაპიტანმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ალექსი პირმისაშვილმა. 1944 წლის თებერვალში ქ. თბილისში გამართულ ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიელთა თვითმოქმედების დათვალიერებაზე აღნიშნულ ანსამბლს პირველი ადგილი მიენიჭა. შესრულდა მასობრივი ცეკვა „ხორუმი“ თემაზე: „სამშობლოსათვის სტალინისათვის“, რომლისთვისაც მუსიკა კომპოზიტორმა გრიგოლ კოკელაძემ დაწერა. აქვე გ. სალუქვაძემ მეუღლესთან, თამარ ფარცვანიასთან ერთად შეასრულა „ქისტური ცეკვა“. სამამულო ომის შემდეგ გ. სალუქვაძე მუშაობას იწყებს თბილისის „თბოცენტრალში“ და კვლავ უბრუნდება საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს. პარალელურად მას იწვევენ სამტრესტის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ქორეოგრაფად. 1946 წლის ნოემბერში ეს ანსამბლი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი, გაიგზავნა ქ. მოსკოვში მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერებაზე. აქ, საქართველოს სამტრესტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მიერ პირველად შესრულდა გ. სალუქვაძის დადგმული მასიური ცეკვა „ფარიკაობა“. ანსამბლს დიდი წარმატება ხვდა. ჟიურის გადაწყვეტილებით მას პირველი ადგილი და პირველი ხარისხის პრემია მიენიჭა.

გ. სალუქვაძეს 1949 წლიდან იწვევენ მახარაძის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ქორეოგრაფად სადაც მეტად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. ფაქტობრივად გ. სალუქვაძისათვის აქედან იწყება დიდი სურვილების ფრთების შესხმა, გამოავლინოს და აღადგინოს ძველი ხალხური ქართული ცეკვები. იგი საშუალო სკოლის მოსწავლეებსაც არ ტოვებს უყურადღებოდ. 1947 წელს ქ. თბილისში გამართულ მოსწავლეთა თვითმოქმედ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მახარაძის რაიონის მოსწავლეთა ნაკრებმა ანსამბლმა, რომლის ქორეოგრაფი იყო გ. სალუქვაძე, პირველი ადგილი დაიკავა. 1948 წელს ჩატარებულ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის მხატვრული თვითმომქმედები VI რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების მაკვანეთის და გურიანთის კოლმეურნეობების ნაკრებმა ანსამბლმაც პირველი ადგილი დაიმსახურა, რომლის მოცეკვავეთა ჯგუფს გ. სალუქვაძე ხელმძღვანელობდა.

1951 წლის ოქტომბერში, საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების მე-7 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე პირველად შესრულდა მის მიერ აღდგენილი ქართული მასობრივი ცეკვა ფერხული „ფარცაკუკუ“, რომლის შესახებაც, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ი. სუხიშვილი წერდა: „წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მახარაძის სარაინო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლამ, მათ მიერ ოლიმპიადაზე შესრულებული ახალი, მასობრივი ცეკვა ფერხული „ფარცაკუკუ“ უეჭველად შევა ახალ ფურცლად ქართულ საბჭოთა ქორეოგრაფიაში“.

სამი წლის შემდეგ მე-8 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე იგივე ანსამბლი კვლავ ახლად აღდგენილი მასობრივი ცეკვით გვევლინება, ცეკვა „კალმახობაა“ ფართო აუდიტორიის ყურადღება მიიპყრო, ცეკვის დამთავრების შემდეგ დიდხანს უკრავდნენ ტაშს ცეკვის აღმდგენელს და დამდგმელს გიორგი სალუქვაძეს.

იმ დროს ცეკვა „კალმახობის“ გარშემო საქართველოს სახალხო არტისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ლ. გვარამაძე წერდა: „გიორგი სალუქვაძის მიერ აღდგენილი ქართული, მასობრივი, შრომის პროცესის ამსახველი ცეკვა „კალმახობა“ სამუდამოდ შევა ქართული ცეკვის ოქროს ფონდში-ო“. აღსანიშნავია ის, რომ ცეკვის, მუსიკის, ტექსტის, კოსტიუმების ესკიზის ავტორი გიორგი სალუქვაძეა.

1960 წელს პიონერთა და მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებაზე მაყურებელმა კვლავ იხილა გ. სალუქვაძის მიერ აღდგენილი ინგილოური ცეკვა „შიპრობა“.

ხოლო ერთი წლის შემდეგ მახარაძის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ახალი, აღდგენილი ქართული სპორტულ-მუშაითური მასობრივი ცეკვით „ფუნდრუკით“ წარსდგა დედაქალაქის მაყურებელთა წინაშე.

გიორგი სალუქვაძე 1964 წელს შეუდგა მესხურ-ჯავახური მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ფოლკლორის შეგროვებას და შესწავლას. ორი წლის დაუღალავი შრომით მან ბევრ საინტერესო მასალას მოუყარა თავი. დიდი მგოსნისა და მოაზროვნოს შ. რუსთაველის დაბადებინს 800 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო დღეებისათვის 1966 წლის 24 სექტემბერს ახალციხის კულტურის სახლის ანსამბლმა ბრწყინვალედ შეასრულა ძველი მესხური ქალთა ცეკვა „მძიმური“ და მესხურ-ჯავახური ვაჟთა ცეკვა „იდუმალა“ (ამ ცეკვაში ასახულია თურქ დამპყრობთა მიერ ქართველების იძულებითი გამაჰმადიანების ცდები). იგივე ცეკვები და კიდევ ერთი ძველი მესხური მასობრივი ფერხული სახელწოდებით „დიდება“, სახუმარო ცეკვით „ვარძიობა-ძიობასა“. თბილისის მაყურებელმა იხილა 1967 წელს.

ფესტივალზე გამოსვლისათვის გ. სალუქვაძის მიერ მომზადებული ახლციხის, ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის და მახარაძის რაიონის ქორეოგრაფიული კოლექტივები საკავშირო ფესტივალის ლაურეატები გახდნენ (დიდი ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ), ხოლო გ. სალუქვაძეს საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

გ. სალუქვაძის შემოქმედებაში ახლის ძიების საკითხი ყოველთვის წინა პლანზეა, იგი მოგზაურობს აჭარის მაღალმთიან კუთხეებში, რათა ხალხში დამარხული მდიდარი საუნჯე დღის სინათლეზე გამოიტანოს, ამის დამადასტურებელია 1970 წლის თებერვალში ბათუმში გამართული მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება. ამ დათვალიერებაზე ქაქუთის ანსმბლმა შეასრულა ძველი, ხალხური, მასობრივი სანახაობა „სეირი“, სადაც პირველად შესრულდა გ. სალუქვაძის მიერ აღდგენილი ქალთა შრომის პროცესის ამსახველი ცეკვა „ხელტარის ნადი“.

გიორგიმ თავისი წვლილი ქართული ხალხური სიმღერების დაცვისა და შენარჩუნების საქმესაც მოახმარა, მისი ინიციატივით და საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების მხარდაჭერით მახარაძეში, ჩვენს ქვეყანაში პირველად, 1968 წელს შეიქმნა გურული სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი ოთხწლიანი სკოლა, სადაც სიმღერას ასწავლიდნენ გურული სიმღერის ოსტატები, სანოტო დამწერლობისა და ფორტეპიანოს პედაგოგები. ამ სკოლის დირექტორი და ერთი პედაგოგთაგანი გიორგი გახლდათ, სკოლაში სწავლების 4 წლიანი ციკლი გაიარა მსმენელთა სამმა ნაკადმა. ეს სკოლა რამდენიმე ათეულმა ქალ-ვაჟმა დაამთავრა, რომელთაგანაც მრავალი კურსდამთავრებული ლოტბარობას დღესაც ეწევა.

აღნიშნული სკოლის ფრიადოსან კურსდამთავრებულთაგან გიორგიმ ეთნოგრაფიული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, სახელწოდებით „იადონი“ ჩამოაყალიბა. ანსამბლის რეპერტუარში 100-ზე მეტი ქართული ხალხური და კომპოზიტორთა სიმღერაა შეტანილი და 15-მდე ცეკვა. ანსამბლის მომღერალთა მთელი შემადგენლობა ვირტუოზულად ფლობს ხალხურ საკრავებზე – ჩონგურებსა და ფანდურებზე დაკვრას, ასევე ყველა მათგანი უკრავს გიორგის მიერ აღდგენილ და საკუთრივ დამზადებულ ჩასაბერ ინსტრუმენტზე, რომელსაც „სოინარი“ ჰქვია.

ხელოვნებითი ხანგრძლივი ძიების დიდ გზაზე გიორგი სალუქვაძის ერთგული თანამგზავრი და მეგობარი იყო მისი მეუღლე თამარი, ერთ დროს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი-მოცეკვავე. შემდგომში დამსახურებული მასწავლებელი, მუსიკოსი, ქორეოგრაფი, მხატვარი, ამ მუსიკალური ოჯახის შვილები, ვაჟები გიორგი (გულღია) და საყვარელა – არქიტექტორებია.

ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის ბრძანებულებით გიორგი სალუქვაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ იგი ორგზის დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნებით.

1966 წელს მას რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება მიენიჭა, იმავე წელს მინისტრთა საბჭოს ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის საკავშირო სამინისტროს წარჩინებულის სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდა.

გიორგი სალუქვაძეს მინიჭებული აქვს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

ქართული ხალხური ხელოვნების დიდი ტრფიალი და მოამაგე, მრავალმხრივი სპეციალობის ინჟინერ-ხელოვანი გიორგი სალუქვაძე, თავისი მოღვაწეობის მთელ მანძილზე შეძლებისდაგვარად ცდილობდა, ემოქმედა წარმოებისა, თუ მეურნეობის სასარგებლოდ, საზოგადოების საკეთილდღეოდ, მოსწავლე ახალგაზრდობის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდისათვის, ხალხთა შორის სიკეთისა და მეგობრობის უფრო მეტად გასაღვივებლად, სიცოცხლეში სახელმოხვეჭილ გამოჩენილ ადამიანთა კეთილად მოგონებისათვის, მშობელი ერის კულტურის, ქართული ქორეოგრაფიის, ხელოვნების, ისტორიულ და ბუნების ძეგლთა დაცვისა და შენარჩუნებისათვის.

ამრიგად, თქვენს წინაშე გაიელვა ბატონი გიორგი სალუქვაძის ბიოგრაფიის ეპიზოდურმა ფრაგმენტებმა, რომ მკითხველს წარმოდგენა შექმნოდა იმ შრომატევად საქმიანობაზე, რასაც გ. სალუქვაძე ეწეოდა წლების განმავლობაში.

გიორგი სალუქვაძე 1990 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ოზურგეთში.

ДИДОСТАТЕБИ

დიდი ჯანო ბაგრატიონი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირმა 2011 წელს დააწესა გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის ირაკლი (ჯანო) ბაგრატიონის სახელობის პრემია და ოქროს მედალი, რომელიც გადაეცემა ქართული ქორეოგრაფიის ღვაწლმოსილ ადამიანებს. მოკლედ მოგითხრობთ ბატონ ჯანო ბაგრატიონის მოღვაწეობის შესახებ.

დაიბადა 1909 წლის 15 სექტემბერს ქარელის რაიონის სოფელ აბანოში. 1933-1946 წლებში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. ასრულებდა ქართულ ცეკვებს ოპერებში: „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ქეთო და კოტე“ და სხვ. გამოდიოდა საბალეტო სპექტაკლებშიც (ზაალი — ა. ბალანჩივაძის „მთების გული“; დიტო — შ. თაქთაქიშვილის „მალთაყვა“).

1938-1945 და 1956-1970 წლებში იყო საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1970-1979 წლებში კი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მთავარი ქორეოგრაფი. დადგა ცეკვები „საქორწილო“, „ძველი თბილისის ფრესკები“, „ალვანური“ და სხვა.

ერთდროულად (1934-1939) კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სტუდიაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა.

1935-1945 წლებში ხელმძღვანელობდა თსუ-ისა და საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის (ახლანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი) თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ წრეებს. მისი მონაფეები იყვნენ: ნ. გულია, ლ. თათეიშვილი, ე. კელაპტრიშვილი, ნ. ბაგრატიონი, გ. დარახველიძე, გ. სალუქვაძე, ა. თათარაძე, კ. მანჯგალაძე, მ. შუბაშიკელი, გ. ბახტაძე და სხვები.

აღსანიშნავია ბაგრატიონის მოღვაწეობა ქართულ ესტრადაზე. იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს ერთ-ერთ პირველ ჯაზურ კოლექტივს (1945-1950); აფხაზეთის ფილარმონიის საესტრადო ანსამბლს (1950-1953); საქართველოს ფილარმონიის საესტრადო კოლექტივს (1953-1956). ამ კოლექტივებში გემოვნებით ასრულებდა ქართული და ამიერკავკასიის ხალხთა სიმღერებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. ჩირინაშვილის მიერ დამუშავებული ხალხური სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ (ტექსტი ბ. ფერაძისა). ჯანო ბაგრატიონმა დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური ცეკვის საესტრადო სცენაზე შემოტანისა და დამკვიდრების საქმეს.

ქართულ ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის ჯანო ბაგრატიონს 1956 წელს მიენიჭა რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხოლო 1967 წელს — საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

ბაგრატიონების ცნობილ და დიდ ოჯახში ჯანო ბაგრატიონი ერთადერთი ვაჟი იყო სამი ულამაზესი დის გარემოცვაში. დედა — ოლღა ამირეჯიბი, სათნო ქალბატონი, სიმღერის ნიჭით იყო დაჯილდოებული (ქალბატონი ოლღა უბადლო შემსრულებელი გახლდათ. მისი სიმღერები, 1915 წელს გრამფირფიტაზე ჩაწერილი, დღემდე გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში ინახება). ცეკვის სიყვარულს ბიძას, გოგინა ბაგრატიონს უმადლის. მისგანვე გადაეცა შესრულების მანერა — „ბაგრატიონისეული თვითმყოფადობით გამორჩეული“. ჯერ კიდევ ჭაბუკმა მტკიცედ გადაწყვიტა, ცხოვრების სარბიელი ქართული ცეკვის ფერადოვანი სამყაროსთვის დაეკავშირებინა. ქორეოგრაფმა დავით ჯავრიშვილმა რჩეულ მოწაფეს, თითქმის ახალბედას, ოპერის სცენაზე, „დაისში“ ცეკვა „მთიულურის“ შესრულება ანდო. მაშინ, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ ახალგაზრდა შემსრულებელს წლების შემდეგ ქართული ცეკვის პოეტად აღიარებდნენ.

ჯანოს მამა, კონსტანტინე, შიდა ქართლში, სამაჩაბლოს მოსაზღვრედ, ქარელის რაიონის სოფელ აბანოში სახლობდა. მისი დიდი ოჯახი სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა, ხშირად მართავდა ნადიმებს. მათ დიდ აივანზე, სტუმართა თავყრილობაზე ხშირად ისმოდა სალონური სიმღერები და ქართული რომანსები. მათ ქალბატონი ოლღა ასრულებდა. ბატონ კოტეს სამი ძმა ჰყავდა: ალექსანდრე (სანდრო), არჩილი და გიორგი (გოგინა). არჩილ ბაგრატიონი ცნობილი ფეხბურთელების, ძმები არველაძეების დიდი ბაბუა გახლდათ. გოგინა შესანიშნავად ასრულებდა ქართულ ცეკვებს.

სამი და ჰყავდა ჯანოს: თამარი, მანანა და ნატო. მანანას დედისგან სიმღერის განსაკუთრებული ნიჭი გამოჰყვა, „სიმღერისთვის დაბადებულს“ ეძახდნენ. მოგვიანებით ჯანოს მიერ დაარსებულ ჯაზ-ორკესტრშიც მღეროდა. ის გახლავთ მომღერალ ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძის დედა. ნატო, ჯანოს ხელმძღვანელობით, ანსამბლში ცეკვავდა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გახდა. უფროსი და, თამარი, აღიარებული იყო სილამაზის ეტალონად. მისი ფოტო გასული საუკუნის 20-იან წლებში ღია საფოსტო ბარათზე იბეჭდებოდა, ქალური ხიბლის სიმბოლოდ. ის იყო ცნობილი პოეტისა და პუბლიცისტის, ნიკოლო მიწიშვილის მეუღლე. თამარისა და ნიკოლოს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ საზოგადოების ნაღები სახეები: გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ლადო გუდიაშვილი... იქ ჯანო ბაგრატიონი მწერალ მიხეილ ჯავახიშვილთან ერთად მღეროდა ხოლმე ძველ ქართულ სიმღერას – „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“, რომელიც მიხეილს განსაკუთრებით უყვარდა. ერთ ასეთ თავყრილობაზე პარიზიდან დაბრუნებულმა კონსტანტინე გამსახურდიამ ახალგაზრდა ჯანოს ტყავის პიჯაკი აჩუქა. მან ძვირფასი საჩუქარი იუხერხულა. კონსტანტინემ მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა, არა უშავს, ჯანო, სატრაბახოდ მეყოფა, რომ საქართველოს მეფის ჩამომავალ ბაგრატიონს ჩემი, გამსახურდიას გამონაცვალი პიჯაკი გაცვიაო.

1933 წელს ხალხური ცეკვის ოლიმპიადაში გაიმარჯვა. კონკურსის მონაწილეთა შორის ჯანო ბაგრატიონი ერთადერთი იყო, ვისაც ჟიურიმ ტაში დაუკრა. ასე შედგა შეხვედრა ქორეოგრაფ დავით ჯავრიშვილთან. ეს იყო რთული და საინტერესო შემოქმედებითი გზის დასაწყისი.

ჯანო ბაგრატიონი, როგორც ქორეოგრაფი, ტრადიციის და ფოლკლორის წინაშე ქედს იხრიდა. ოდითგანვე დამკვიდრებულ წესებს ერთგულად მიჰყვებოდა. მისი აზრით, სიახლე ტრადიციის ფარგლებშია საძიებელი, მთავარი ეროვნული ცეკვის არსში, ცეკვის ხასიათში წვდომა, მაყურებლამდე მისი მიტანაა. „ფარიკაობა“, „სამაია“, „მოხევური“, „ალვანური“, „ჯანსულო“, „საქორწილო“ – ქართული ხალხური ტრადიციის წიაღიდან გამოსული ეს ცეკვები ხელოვნებაში სწორედ ჯანო ბაგრატიონის წყალობით დაიბადა. ეს ცეკვები მის მიერვე ჩამოყალიბებულ ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში დადგა. შექმნა „სამაიას“ სხვადასხვა ვარიანტი: „სამაია ჩონგურებით“ მეჩონგურე ქალთა ანსამბლისთვის, „სამაია დაირებით“... ცეკვა „ფარიკაობაში“ მოასპარეზე ვაჟთა შორის ქალის მიერ მანდილის ჩაგდება ჯანო ბაგრატიონმა მოიფიქრა. მანვე შექმნა „ქალაქური სურათი“ – კინტოების და ყარაჩოხელების ცეკვა. მის მოწაფეთა შორის ბევრი სახელოვანი მოცეკვავე და ქორეოგრაფი დადგა. მასთან ცეკვავდა მისი მეუღლეც, ქეთევან მგალობლიშვილი.

1946 წელს ჯანო ბაგრატიონმა, სოსო ტუღუშთან ერთად, პირველი ქართული ჯაზ-ორკესტრი შექმნა. რეპეტიციებს კონსერვატორიის დარბაზში გადიოდნენ. ჯანო ბაგრატიონმა ჯაზის რეპერტუარი მთლიანად ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებზე ააგო, საცეკვაო ნომრებითაც გაამდიდრა: „ქართული“, „საქორწილო“, „ფარიკაობა“... პროექტი წარმატებული გამოდგა. ჯანოს ჯაზ-ორკესტრის საფუძველზე ჩამოყალიბდა საესტრადო ორკესტრი „რერო“, ანსამბლი „ორერა“. სწორედ თავის ჯაზ-ორკესტრში შეასრულა ჯანო ბაგრატიონმა ტკბილი ტენორით უჭკნობი „ყვავილების ქვეყანა“.

დიდი ჯანო ბაგრატიონი 66 წლისა გადაიცვალა, 1979 წელს.

თენგიზ უთმელიძის საღამო ბათუმში

ქართული ცეკვის რაინდი

2011 წლის 29 ნოემბერს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ქართული კულტურისა და ეროვნული ქორეოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ლეგენდარული ქართული ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის წამყვანი სოლისტის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის, თენგიზ უთმელიძის საღამო.

საღამოს მხარდამჭერები იყვნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ქალაქ ბათუმის მერია, ორგანიზატორი კი გახლდათ ბათუმის მკვიდრი, წარსულში ცნობილი მოცეკვავე და ქორეოგრაფი ჯემალ ჩიჩუა.



თენგიზ უთმელიძესთან შესახვედრად თეატრში უამრავმა მისმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი. ბევრ ბათუმელს ახსოვს მის მიერ უზადოდ შესრულებული ქართული ცეკვები სწორედ ამ თეატრის სცენაზე, სადაც იგი, არაერთხელ, დიდი წარმატებით გამოსულა ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის საკვეყნოდ ცნობილ აკადემიურ ანსამბლთან ერთად, ახსოვთ თენგიზის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ჩვენი ქორეოგრაფიის გვირგვინი – ცეკვა „ქართული“, ლეგენდარულ ნინო რამიშვილთან ერთად, მისი ცეცხლოვანი „ხევსურული სუიტა“, ლირიული – „წყაროსთან“, „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ტარიელი ქორეოგრაფიულ კომპოზიციაში „ქაჯეთის ციხის აღება“ და სხვა. თენგიზ უთმელიძე აკადემიურ ანსამბლში იმ დროს მოღვაწეობდა, რომელსაც თვით ქართული ცეკვის დედოფალმა ნინო რამიშვილმა „ოქროს ხანა“ უწოდა. თენგიზ უთმელიძემ, ამ ანსამბლთან ერთად, ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს 70-მდე ქვეყანა.

ანსამბლიდან წამოსვლის შემდეგ თენგიზ უთმელიძე წლების, მანძილზე სხვადასხვა დროს, მუშაობდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისა და საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროებში მაღალ თანამდებობებზე. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი 12 წლიანი მოღვაწეობა საქართველოს კულტურის სამინისტროში.

თენგიზ უთმელიძე მუშაობდა, აგრეთვე, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ქორეოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელად, იყო მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზას“ გენერალური დირექტორი. 2004 წელს თენგიზ უთმელიძე არჩეულ იქნა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა საერთო-ეროვნული კავშირის თავმჯდომარედ, სადაც 2010 წლის ჩათვლით მუშაობდა, მის სახელთანაა დაკავშირებული არაერთი მასშტაბური ღონისძიება, ჩატარებული ქორეოგრაფიის ხაზით. სწორედ მისი ინიციატივითა და ძალისხმევით 2005 წელს დაარსდა „ქართული ქორეოგრაფიის დღე“, რომელიც ყოველწლიურად, 11 ივნისს ოფიციალურად აღინიშნება, როგორც პროფესიული დღესასწაული.

თენგიზ უთმელიძის პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაზე ისაუბრა თავის მისალმებაში ფილოლოგიურ და პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა იური ბიბილეიშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო თენგიზ უთმელიძის, როგორც მოცეკვავე მსახიობის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მონაკვეთები. აღნიშნა მისი განსაკუთრებული დამსახურება ქვეყნისა და ქართული კულტურის წინაშე, რომელსაც იგი ნახევარ საუკუნეზე მეტია ერთგულებითა და პროფესიონალიზმით ემსახურება. ბატონმა იური ბიბილეიშვილმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა თენგიზ უთმელიძის პუბლიცისტურ და ჟურნალისტურ საქმიანობას და მის ფასდაუდებელ ღვაწლს წლების მანძილზე რუდუნებით შექმნილ, „სუხიშვილების“ შემოქმედებითი და საგასტროლო ცხოვრების შთამბეჭდავი ისტორიისა და განსაკუთრებით ლეგენდარული ანსამბლის უნიკალური ფოტომატიანეს შთამომავლობისათვის შემონახვაში.

გამომსვლელმა ასევე აღნიშნა, რომ თენგიზ უთმელიძე დღესაც ქართული კულტურის სამსახურშია და აქტიურად განაგრძობს შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობას, მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობები აკავშირებს აჭარის ხელოვნებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, ბათუმელ კოლეგებთან და მეგობრებთან.

თენგიზ უთმელიძეს მიესალმა ქალაქ ბათუმის მერიის კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი ქალბატონი ნათია სურგულაძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ბათუმის მერის მისალმების ტექსტი:

„ბატონო თენგიზ!

ლეგენდარულ სუხიშვილების ანსამბლს არაერთი გამორჩეული შემსრულებელი ჰყავდა. ქართული ცეკვის განუმეორებელ კორიფეებთან ერთად თქვენ ღირსეული ადგილი გეჭირათ, როგორც საუცხოო მოცეკვავესა და სოლისტს. ამასთან, თქვენ ერთადერთი ხართ, ვინც შემოინახა ანსამბლის ბრწყინვალე შემოქმედებითი გზის ამსახველი ვიზუალური მასალა. ფასდაუდებელია თქვენი ღვაწლი, როგორც ცოცხალი მემატიანისა, რომელმაც მომავალ თაობებს აჩუქა განუმეორებელი ფოტოები – ისინი დღეს ისტორიის კუთვნილებაა.

არაჩვეულებრივი გარეგნობა, დახვეწილობა და რაფინირებულობა, კეთილშობილება, ურთიერთობის მაღალი კულტურა, მამაკაცური ხიბლი და ღირსება – ეს ყველაფერი კი თქვენი შინაგანი სამყაროს ანარეკლია.

ქართული ცეკვის პარალელურად სხვადასხვა დროს ღირსეულად უძღვებოდით ქორეოგრაფიის განვითარებას, როგორც კულტურის სამინისტროში მუშაობისას, ასევე ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის ხელმძღვანელობის პერიოდში, რომლის საპატიო პრეზიდენტიც დღეს ბრძანდებით.

კვლავაც გაგეგრძელებინოთ მოღვაწეობა ქართული „როკვის“ ახალგაზრდა შემსრულებელთა მხარდასაჭერად, რადგან თქვენ ხართ მაგალითი იმისა, თუ რა ლამაზად შეიძლება იცხოვროს ადამიანმა თავისი ქვეყნისათვის, საყვარელი საქმისათვის, მეგობრებისათვის, ახლობლებისათვის და თაყვანისმცემლებისათვის.

ბათუმი სიამოვნებით აღნიშნავს თქვენთან შეხვედრას და ვამაყობთ, რომ საქართველოს ასეთი ღირსეული მამულიშვილი ჰყავს!

მრავალჟამიერ!

ბათუმელების სახელით და
საუკეთესო სურვილებით
ქ. ბათუმის მერი
რობერტ ჩხაიძე,
2011 წლის 29 ნოემბერი

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელით თენგიზ უთმელიძეს გულთბილად მიესალმა მინისტრის მოადგილე ქალბატონი ლამზირა ბოლქვაძე.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ ქართული ქორეოგრაფიის გამოჩენილი წარმომადგენლები – რეზო ჭანიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხეიძე, გელოდი ფოცხიშვილი, რომლებმაც თბილად ისაუბრეს კოლეგისა და მეგობრის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე, მის გამორჩეულ ნიჭიერებაზე და პროფესიულ ღვაწლზე, მრავალწლიან მეგობრულ და საქმიან ურთიერთობებზე.

აჭარის შემოქმედებითი ინტელიგენციის სახელით თენგიზ უთმელიძეს მიესალმა და საკუთარი ლექსი წაიკითხა ცნობილმა პოეტმა ვახტანგ ახვლედიანმა.

თენგიზ უთმელიძის საღამო დაამშვენეს ბათუმის სახელმწიფო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ხორუმმა“ (ხელმძღვანელი თემურ ბიბილეიშვილი), ბათუმის ოპერის მომღერალმა ზაზა ხამათაშვილმა, ვოკალურმა ანსამბლმა „ალიკა“, ვეტერან მოცეკვავეთა ანსამბლმა „ბაკური“, ბათუმის ქორეოგრაფიული სასწავლებლის საბალეტო ჯგუფმა, ქალთა ვოკალურმა ანსამბლმა „ნოტა“, ბათუმის, ოზურგეთისა და წყალტუბოს ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა.

საღამოს დასასრულს თენგიზ უთმელიძემ გაიხსენა ბათუმში გატარებული დაუვიწყარი დღეები, „სუხიშვილების“ ანსამბლში სხვადასხვა წლებში მოღვაწე ბათუმელი მოცეკვავეები და მეგობრები – ალი ანთიძე, თეიმურაზ (თოფან) მელაძე, გივი ჩიჩუა, ედნარ მეგრელიძე, იაშა ხალვაში, იური ცინცაძე, თამაზ ჯახუტაშვილი, გურამ ბაკურაძე, რაულ მამალაძე, რომლებიც გამორჩეული ხელწერით მაღალი საცეკვაო ოსტატობით ამშვენებდნენ დიდ ანსამბლს.

თენგიზ უთმელიძემ დიდი მადლობა გადაუხადა თეატრში შეკრებილ ხელოვნების თაყვანისმცემლებს, აჭარის მთავრობას, კულტურის სამინისტროს, ბათუმის მერიას, კიდევ უფრო დამშვენებულ ბათუმსა და მადლიერ ბათუმელებს მისი ღვაწლის ესოდენ დაფასებისათვის.

ფრიდონ სულაბერიძე

საახალწლო სახალისო გვერდი 2012

2012 – დრაკონის წელია

ახალი წლის შემობიჯებამდე რამდენიმე წუთით ადრე დაივიწყეთ საზეიმო განწყობა და გულში, თქვენთვის, ჩუმად, წრფელად, მადლობა გადაუხადეთ მიმავალ კურდღლის წელს იმ მნიშვნელოვანი და დადებითი მოვლენებისათვის, რაც თქვენს ცხოვრებაში მოხდა ამ წელს, უარყოფითისათვის კი ნუ უსაყვედურებთ. მიირთვით სუფრისათვის გამზადებული მწვანილის თუნდაც ერთი ფოთოლი, ეს იქნება მადლიერება ძველი წლისადმი და მისი ლამაზად გაცილების გამოხატულება.

ახალი 2012 წელი დრაკონის წელია. არ არის იოლი წელი. მაგრამ, ამასთანავე, არის მნიშვნელოვანი და წარმატებული! ბრძოლისა და გამარჯვების წელი! თამამად იარეთ წინ! თუ რამე გადადებილი გაქვთ სამომავლოდ, ახლა სწორედ ის დროა, როცა ყველაფერი უნდა გადაწყვიტოთ და შეასრულოთ. დროის გაყვანა აღარ ღირს. დრაკონის წელი - მნიშვნელოვანი გეგმების განხორციელების დროა.

რომელი ცხოველის ან ფრინველის წელს ხართ დაბადებული?

ვირთხა – დრაკონის წელი ძალიან წარმატებულია თქვენთვის. შეგიძლიათ მშვიდად იყოთ.

ხარი – ნუ შეჩერდებით, გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ შეიძლება ეს ყველაფერი დაიკარგოს. მხოლოდ შემართება, წინსვლა გიხსნით.

ვეფხვი – საკმაოდ მძიმე წელი იქნება, მთავარია, სწორად განსაზღვროთ ვის და როდის დაეყრდნოთ და ყველაფერი კარგად იქნება.

კატა – შინაგანი სიმშვიდე და პირადი საქმეებით გატაცება გიხსნით გარე მღელვარებებისაგან.

დრაკონი – ტრიუმფი! საუკეთესო წელი! გამარჯვებების წელი!

გველი – გველს არასასურველი გარემოსაგან ყოველთვის იცავდა მისი სიბრძნე. ამ წელსაც ასე იქნება.

ცხენი – ძალიან კარგი წელია. ყოველმხრივ შეგიძლიათ წარმოაჩინოთ საკუთარი თავი და შესაძლებლობები.

თხა – ბევრ საინტერესოს გამოძებნის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში და სწორ კომბინაციასაც იოლად მიაგნებს. წარმატებების წელია.

მაიმუნი – ამ წლისგან ბევრ სიამოვნებას მიიღებს. დრაკონს მაიმუნის გარეშე არ შეუძლია.

მამალი – რაც წინა წლებში ჩვეულებრივად გეჩვენებოდათ, ამ წელს ყველაფერი მნიშვნელოვანი იქნება. კარგი წელია ოჯახის შესაქმნელად (რა თქმა უნდა თუ აქამდე არ შეგიქმნიათ).

ძაღლი – სიძნელეების გადალახვა მოუწევს ძაღლს. დაფიქრება მართებს, ზოგჯერ არ ღირს გარისკვა, დაიხმარეთ ახლობლები და მოძებნეთ სწორი გზა.

ღორი – უცნაურად კარგი წელია ღორებისათვის. სიმშვიდე დაეუფლება მათ სამყაროს. საკვებიც ბლომად ექნებათ (რა თქმა უნდა სულიერიც იგულისხმება).

როგორ შევხვდეთ დრაკონის წელს?

დრაკონს უყვარს მხიარულება. მერედა, ქორეოგრაფებს ეშლებათ რაიმე ამ კუთხით? ახალი წლის ღამეს შეარჩიეთ რიტმული მუსიკა, ისეთი, ყველას რომ აღანთებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საუბარია ცეცხლოვან ქართულ ცეკვებზე. თანამედროვე მიმართულებები გიტაცებთ? არც ესაა პრობლემა – ავანგარდი, როკი ლამაზად შეგახვედრებთ ახალ წელს. მთავარია არ გაჩერდეთ, დრაკონს მოძრაობა უყვარს. ქორეოგრაფებიც ხომ ამას ჩასჩიჩინებთ შეგირდებს. ამ წელს, მგონი, გაგიმართლათ. ახალ წელს ცეკვა უხდება!

რა ჩავიცვათ დრაკონის წელს?

ფერების შერჩევისას ასტროლოგები რამდენიმე ვარიანტს გვთავაზობენ. ბევრს მიაჩნია, რომ აუცილებელია შავი ფერი, სხვები ამბობენ, რომ შავს აუცილებლად უნდა ახლდეს ყვითელი ან ოქროსფერი. ყველას მოსაზრებაა, რომ ახალ წელს უნდა ბრწყინავდეთ. დრაკონს მოსწონს ნათელი და ლამაზი ფერები. და კიდევ, დრაკონი გიჟდება ძვირფასეულობაზე, ასე რომ, ქალებმა მაქსიმალურად გამოიყენეთ ის, რაც გაქვთ (ნურც ზომიერების გრძნობას დაკარგავთ). ვარცხნილობაც შესაბამისი უნდა იყოს, მხიარული, ბრჭყვიალებით მორთული, დრაკონს ეს ძალიან მოსწონს.

როგორ მოვრთოთ სახლი დრაკონის წლის შესახვედრად?

2012 წელი – წყლის სტიქიას განეკუთვნება. ამიტომ, სახლის მოსართავად გამოიყენეთ ზღვის თემატიკა (მაგალითად, ნიჟარები, ზღვის ვარსკვლავები). სუფრაზეც იზრუნეთ. მიუხედავად იმისა, რომ დრაკონის ძირითად საკვებს ხორცი წარმოადგენს, ასტროლოგები გირჩევენ, ახალი წლის სუფრაზე აუცილებლად უნდა იქონიოთ გემრიელად მომზადებული თევზის კერძები. დრაკონი აუცილებლად გაგიღიმებთ და მოგიტანთ ბედნიერებასა და გამარჯვებებს, თუ სუფრაზე გექნებათ კვახი (თუნდაც ერთი ნაჭერი). სანთელი სწორედ მასზე აანთეთ.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ბედნიერება, ჯანმრთელობა და მრავალი წარმატება მოეტანოს ამ წელს თქვენთვის და ყველა თქვენი საყვარელი ადამიანისათვის!

ტრადიციები

როგორ ხვდებიან ახალ წელს მსოფლიოში

შობა და ახალი წელი ის დღესასწაულებია, რომელსაც მთელ მსოფლიოში დიდი სიხარულით აღნიშნავენ, თუმცა ყველა ქვეყანას თავისებური წესები და ტრადიციები აქვს. ამ სტატიაში ყურადღებას კულინარიულ ტრადიციებზე გავამახვილებთ.

ყველას მოგეხსენებათ, რომ ქართული საახალწლო სუფრა წარმოუდგენელია საცივის, გოზინაყისა და ჩურჩხელების გარეშე. საინტერესოა, რა კერძები ამშვენებს სხვადასხვა ქვეყნის საშობაო თუ საახალწლო სუფრას? შობა უამრავ ქვეყანაში ყველაზე საყვარელ საოჯახო დღესასწაულად ითვლება და საშობაო სუფრაც საუკეთესო ადგილია საყვარელი ადამიანებისა და ახლობლების ერთად შესაკრებად.

• **გერმანული** შობის ღამე ერთდროულად ძალიან საზეიმო და მადისაღმძვრელია. დიდი ხნის განმავლობაში ღორის ხორცი საშობაო სუფრის მთავარი კერძი იყო, მაგრამ თანამედროვე გერმანიაში მას ნელ-ნელა ფარშირებული შემწვარი ინდაური ანაცვლებს. პოპულარულია პატარა ფხვიერი ორცხობილები, რომელთაც ნაძვის ხის, ვარსკვლავის, თოვლის ბაბუას ფორმა აქვს და ვანილის, დარიჩინის, ილის სურნელს აფრქვევენ. თუმცა მთავარი საშობაო დესერტი მაინც შტოლენია – წაგრძელებული ფორმის არომატული ნამცხვარი, რომელშიც ჩირეული, ნუში, ქიშმიში, რომი, სანელებლები შედის და შაქრის პუდრითაა დაფარული. ეს ნამცხვარი ყრმა ქრისტეს სიმბოლოა.

• **გულგარეთში** სუფრაზე უნდა იდოს შვიდი, ცხრა ან თორმეტი სახის კერძი, კვირის შვიდი დღის, ორსულობის ცხრა თვისა და წელიწადის თორმეტი თვის აღსანიშნავად. აცხობენ პურს ,,ბოგოვა პიტას", რომელშიც აყოლებენ პატარა მონეტას. ბულგარელების რწმენით, ამ მონეტის მპოვნელს მთელი წელი ბედნიერება არ მოაკლდება.

• **ყველა** დანიელის სახლში აუცილებლად ცხვება პატარ-პატარა საახალწლო ორცხობილები და ნამცხვრები, ხოლო სუფრას შემწვარ ინდაურთან ერთად ყოველთვის ამშვენებს თევზეული, განსაკუთრებით კი ქაშაყი.

• **ესპანეთის** კულინარიული ტრადიციები პროვინციების მიხედვით განსხვავდება, თუმცა საშობაო-საახალწლო მენიუ ძირითადად ერთნაირია: შემწვარი ცხვრის ბარკალი, ზღვის პროდუქტი და ინდაური. საშობაო სადილი, როგორც წესი, შუაღამემდე მთავრდება, რადგან თითქმის ყველა ჩქარობს ოჯახთან ერთად შუაღამის წირვაზე დასწრებას. ტკბილეულობიდან ყოველ ესპანურ სუფრაზე შეხვდებით ტურონს: ეს არის შოკოლადის ან ნუგას სახეობა, რომელშიც ამოვლებულია თხილი, ნუში, ნიგოზი, ჩირეული, ჰაეროვანი ბრინჯი და ა.შ. ძველად, ესპანური ტრადიციის მიხედვით, მეზობლები ერთმანეთს ჩუქნიდნენ საუკეთესო ადგილობრივი პროდუქტით – ზეითუნის ზეთით, ღვინით, თხის ყველით, ნუშით, ძეხვეულით და ა.შ. სავსე კალათებს. დღეს ასეთი კალათები ყველა ესპანურ მაღაზიაში იყიდება.

• **ფრანგული** საშობაო სუფრა ნამდვილად პომპეზურია. ეს ის დღეა, როცა ყოველი ფრანგი თავს უფლებას აძლევს, დელიკატესები დააგემოვნოს: ფუა გრა, ხამანწკები, შებოლილი ორაგულის ფილე თითქმის ყველა სუფრას ამშვენებს. ინდაური წაბლით ტრადიციული საშობაო კერძია საფრანგეთში, ხოლო საშობაო რულეტი – უცვლელი ტკბილეული. საფრანგეთის პროვინციებს, რა თქმა უნდა, თავიანთი წეს-ჩვეულებები აქვთ. მაგალითად, პროვანსში დღემდე ცოცხლობს 13 სახის დესერტის მომზადების ტრადიცია, რომელიც ქრისტესა და მისი 12 მოწაფის სიმბოლოა. ალზასში კი, მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, დღემდე ამზადებენ თაფლაკვერს ნუშით, დარიჩინით, ილითა და თაფლით, რომელსაც წმინდა ნიკოლოზს სწირავენ.

• **უნგრეთში** დიდ ყურადღებას აქცევენ საახალწლო სუფრის დეკორაციას და ხშირად იყენებენ უნგრეთის დროშის ფერებს: წითელს, თეთრსა და მწვანეს. მთავარი კერძი თევზია, ხოლო დესერტად ხაშხაშიან და ნიგვზიან ნამცხვარს ამზადებენ, სადაც ყაყაჩო ერთობისა და ქორწინების სიმბოლოა, ნიგვზის დახმარებით კი მომავალს წინასწარმეტყველებენ.

• **იტალიური** შობა წარმოუდგენელია ტრადიციული პენეტონეს გარეშე. მისი მრავალი სახეობა არსებობს: კრემიანი, შოკოლადიანი, ჩირეულით და ა.შ. ეს ნამცხვარი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მზადდება იტალიაში. რეგიონების მიხედვით მრავალფეროვანია ტკბილეულიც, სიცილიაში წარმოუდგენელია დღესასწაული ტრადიციული ტორონის გარეშე. ეს ესპანური ტურონის აქაური ვარიანტია. ტოსკანაში პანფორტეს ამზადებენ, ეს არის ნუშით, ჩირეულით, ციტრუსით და თაფლით მომზადებული ტკბილეული.

• **ჰოლანდიაში** საახალწლოდ ინდაურს, ბატს ან კურდღელს ამზადებენ, ტკბილეულიდან კი დარიჩინიანი ნამცხვრებია პოპულარული.

• **ტრადიციული** პოლონური მენიუ გულისხმობს სოკოს სუპს, ხორცეულს, სხვადასხვა გულსართიან ღვეზელს, ყაყაჩოს თესლისგან დამზადებულ ნამცხვრებს და 12 სხვადასხვა ხილის კომპოტს, 12 მოციქულის პატივსაცემად.

• **ბრიტანული** საშობაო სადილის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია შემწვარი ხორცი, ინდაური ან ბატი. საშობაო პუდინგი კი ტიპური ინგლისური დესერტია.

• **შვედური** საშობაო სადილი ტრადიციული ცივი კერძებით, სმორგასბორდით იწყება: აქ შედის დამარინადებული ქაშაყი, პაშტეტი, სხვადასხვა სახის ძეხვეული. დესერტად მიირთმევენ რძეში მოხარშულ სანელებლებიან ბრინჯს. ტრადიციული შვედური სასმელია გლოგი – სანელებლებიანი ცხელი ღვინო ქიშმიშითა და ნუშით.

• **საინტერესოა** უკრაინული საშობაო სუფრა, სადაც ძირითადად მარცვლეულისგან დამზადებული კერძები, ხილი, ბოსტნეული და თევზეულია წარმოდგენილი. მაგიდაზე აუცილებლად უნდა იდოს ხორბლის თავთავი და სამი ერთმანეთზე დაწყობილი სხვადასხვა ზომის საშობაო პური, რომელიც წმინდა სამებას განასახიერებს. რა თქმა უნდა, სუფრას აუცილებლად ამშვენებს მრავალნაირი უკრაინული ღვეზელი და ვარენიკი.

• **ამერიკის** შეერთებულ შტატებში ტრადიციული საშობაო-საახალწლო მენიუ არ არსებობს. რადგან ინდაური მადლიერების დღის სიმბოლოა, საახალწლოდ შემწვარი ხორცია მთავარი კერძი, დასაწყისში შებოლილი ორაგულისგან დამზადებულ სხვადასხვა ვარიაციას მიირთმევენ, დესერტი კი რეგიონალურ კულინარიაზე ან თავად მზარეულზეა დამოკიდებული. თეთრ სახლში აუცილებლად მიირთმევენ ე.წ. ,,პრეზიდენტის ნამცხვარს", რომლის რეცეპტიც აბრაამ ლინკოლნის დროინდელია. სამაგიეროდ, მთელს ამერიკაში მიირთმევენ ლიქიორ Egg Nog-ს. ეს არის სქელი, სურნელოვანი სასმელი რომით, კვერცხით, სანელებლებითა და რძით.

http://vinoge.com

უცნაური ამბები



მსოფლიოში ყველაზე მაღალი სასტუმრო

ჰონკონგის სასტუმრო „რიტს კარტონი" ყველაზე მაღალ სასტუმროა მსოფლიოში. იგი საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის შენობის 102-118 სართულს იკავებს და სიმაღლეში 488 მეტრია. სასტუმროში არის 312 მდიდრული აპარტამენტი, 6 რესტორანი, სპა-ზონის 860 კვმ და შუშის აუზები, რაც მის ლუქსის სტატუსს შეესაბამება.

ჩილელები ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით უარს ამბობენ ჰალსტუხების ტარებაზე

ჩილეს ხელისუფალნი ქვეყნის მამაკაცებს მოუწოდებენ, უარი თქვან ჰალსტუხების ტარებაზე ზაფხულის თვეებში, რათა ამ გზით დაზოგონ ელექტროენერგია, რომელიც იხარჯება შენობების კონდიცირებაზე. ჩილეს ენერგეტიკის მინისტრის როდრიგო ალვარესის აზრით, ამ შემთხვევაში ოფისებში ტემპერატურა ჩვეულებრივზე რამდენიმე გრადუსით დაბალი იქნება. მჭიდროდ შეკრული ჰალსტუხი იწვევს ოფლიანობას და იწევს ტემპერატურა. მინისტრის სიტყვებით, შენობებში უჰალსტუხოდ მუშაობის შემთხვევაში 1-3 გრადუსით ნაკლები ტემპერატურა იქნება და ეს 3%-ით შეამცირებს ელექტროენერგიის ხარჯებს, რაც მთელი ზაფხულის განმავლობაში 10 მილიონი დოლარი იქნება.

დედამიწის ყველაზე დაბალი ქალია – 18 წლის ინდოელი

გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა ახლახან მსოფლიოში ყველაზე დაბალი ქალის ტიტული მიანიჭეს 18 წლის ინდოელ ჯიოტი აგმეს – მისი სიმაღლეა 62,8 სმ. იგი წინა გამარჯვებულზე, ამერიკელ ბრიჯიტ ჯორდანზე, 7 სმ-ით დაბალი აღმოჩნდა. მთელი ისტორიის მანძილზე კი რეკორდსმენი გახლავთ ჰოლანდიელი პოლინ მასტერსი (1876-1895), რომლის სიმაღლეც 61 სმ-ს არ აღემატებოდა.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახი

მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახი ჰყავს ზიონა ჩანას. მისი რელიგიური მიმდინარეობა არ კრძალავს მრავალცოლიანობას, მას ყავს 39 ცოლი, 14 რძალი, 94 შვილი და 33 შვილიშვილი. ოჯახი ცხოვრობს (ყველა ერთად) ერთ 4 სართულიან სახლში, რომელშიც 100 ოთახია. ეს სახლი მდებარეობს ინდოეთის შტატ მიზორამში. საღამოობით ისინი ვახშმისთვის ამზადებენ 30 ქათამს, დაახლოებით 60 კილო კარტოფილს და 100 კილო ბრინჯს.

რუსთავის საამაყო „რუსთაველი“

ნოდარ აბულაძე

რუსუდან ქართველიშვილი

ქალაქ რუსთავის ნინო რამიშვილის სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „რუსთაველი“ შეიქმნა ქალაქ რუსთავში 1995 წელს. ანსამბლის ხელმძღვანელები არიან საქართველოს დამსახურებული არტისტი ნოდარ აბულაძე და რუსუდან ქართველიშვილი.

ნოდარ აბულაძე სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტი გახლდით 20 წლის განმავლობაში. ამჟამად წარმატებით უძღვება მოზარდთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „რუსთაველი“.

უკვე 1996 წელს ანსამბლმა მონაწილეობმა მიიღო ბულგარეთის ქალაქ ბურგასში გამართულ ფესტივალზე, სადაც წარმატებით გამოვიდა და ლაურეატის წოდება მიიღო.

1997 წელს ანსამბლი იმყოფებოდა საგასტროლოდ ლიტვაში და ტურნე დაამთავრა ვილნიუსის ოპერისა და ბალეტის თეატრში სოლო კონცერტით.

2003 წელს ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ ფესტივალ–კონკურსზე ცეკვა „ქართულისა“ და ცეკვა „ოსურის“ სოლისტები დაჯილდოვდნენ ვერცხლისა და ოქროს მედლებით.

2004 წელს ანსამბლმა წარმატებით იმოგზაურა თურქეთის რესპუბლიკაში.

რესპუბლიკურ ფესტივალზე „ბრავო“ 2003, 2004, 2005, 2006 წლებში ანსამბლი დაჯილდოვდა ოქროს მედლებითა და დიპლომებით.

ფოლკლორის სატელევიზიო ფესტივალზე „ოქროს მართვე“ 2003, 2004, 2005 წლებში ანსამბლი დაჯილდოვდა ოქროს არწავით, ოქროს მედლებითა და დიპლომებით.

2006 წელს ილიკო სუხიშვილის სახელობის კონკურსზე ანსამბლი დაჯილდოვდა ალიკო სუხიშვილის სახელობის პრიზითა და დიპლომით, ამავე წელს ფოლკლორული ცეკვების II საერთაშორისო ფესტივალზე „ოქროს საწმისი“ ანსამბლი დაჯილდოვდა დიდი ოქროს მედლითა და დიპლომებით.

2006 წელს ანსამბლი „რუსთაველი“ დასახელდა წლის საუკეთესო ქორეოგრაფიულ ანსამბლად და დაჯილდოვდა დიპლომითა და საპატიო პრიზით „ოქროს დაფნის რტო“.

2007 წელს ანსამბლი იმყოფებოდა ფესტივალზე თურქეთის ქალაქ ბოდრუმში და დაჯილდოვდა სიგელითა და პრიზით.

ანსამბლი „რუსთაველი“ მონაწილეობდა ილიკო სუხიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო გალა კაონცერტში და დაჯილდოვდა სიგელითა და სამახსოვრო ოქროს მედლით. ანსამბლი სისტემატურად და წარმატებით მონაწილეობს ყველა მნიშვნელოვან ფესტივალზე და მშობლიურ ქალაქში გამართულ ყველა ღონისძიებაზე.

წარმატებით მინიჭებული „სიხარული“


გოგი მარღანია

ქალაქ რუსთავის მოსწავლეახალგაზრდობის სასახლესთან არსებული ილიკო სუხიშვილის სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „სიხარული“ 1977 წლიდან არსებობს. მისი ხელმძღვანელი გახლდავთ ქორეოგრაფი გოგი მარღანია. იგი სამხედრო სავალდებულო სამსახურში ყოფნისას ამიერკავკასიის სამხედრო ანსამბლში ცეკვავდა, მას შემდეგ სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტი გახლდათ. პარალელურად პედაგოგიურ ქორეოგრაფიულ მოღვაწეობას ეწეოდა. ანსამბლმა „სიხარულმა“ მისი ხელმძღვანელობით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და არის მრავალგზის რესპუბლიკური და მსოფლიო ფესტივალების ლაურეატი. ეს ანსამბლი დაარსებისთანავე ვოკალურ ანსამბლ „გვირილებთან“ ერთად ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში კომერციული გასტროლებით მოგზაურობდა.

ანსამბლში აღზრდილთაგან დაახლოებით 60 ახალგაზრდა საქართველოს სახელმწიფო ანსამბლებში განაგრძობს მოღვაწეობას. კერძოდ, ილიკო სახუიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართულ ნაციონალურ ბალეტში, ანსამბლ „ერისიონსა“ და „რუსთავში“.

დღესდღეობით ანსამბლ „სიხარულს“ აქვს საათნახევრიანი პროგრამა, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოს ყველა კუთხის საცეკვაო ფოლკლორი.

1992 წელს ანსამბლ „სიხარულს“ ნინო რამიშვილისა და თენგიზ სუხიშვილის თაოსნობით ილიკო სუხიშვილის სახელი მიენიჭა.

ანსამბლის ხელმძღვანელი გოგი მარღანია არის ქალაქ რუსთავის საპატიო მოქალაქე და ღირსების ორდენის კავალერი. იგი 36 წელია ქორეოგრაფიაში მოღვაწეობს და ამ წლების განმავლობაში ქართული საცეკვაო ხელოვნების საფუძვლებს დააუფლა 3000-ზე მეტი მოზარდი.

გოგი მარღანია იყო რუსთავში ჩატარებული მრავალი საქალაქო ღონისძიების დამდგმელი ქორეოგრაფი. ამ დროისათვის ანსამბლ „სიხარულში“ 70-ზე მეტი ბავშვი ირიცხება. ანსამბლში ბავშვები სტუდიის დასრულების შემდგომ ხვდებიან, სადაც 4-5 წლის განმავლობაში ეუფლებიან ძირითადი ილეთების შესწავლას. ანსამბლში მოსწავლეთა გადასვლა შერჩევის პრინციპით მიმდინარეობს და იქ განაგრძობენ საცეკვაო ფოლკლორის დაუფლებას.

საქართველოს ქორეოგრაფია
მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №180

სარედაქციო საბჭო: რეზო ჭანიშვილი; ოლეგ ალავიძე; რევაზ ბალანჩივაძე; უჩა დვალიშვილი; ზაურ ლაზიშვილი; ნინო მდივანი; ბესიკ სვანიძე; თენგიზ უთმელიძე.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

ნომრის რედაქტორი
ამირან ბუთურიშვილი
ტელ: 2 45 49 02;
2 15 50 14;
5 99 55 15 84.